# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 22 დეკემბერი 2007 №296 (3219) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# თქვენი ხელმოწერა, ჰერ!

## ნოდარ ახალკაცი: იმედია, კიდევ ექვსი თვე

## კლაუს ტოპმიოლერი: გამარჯვებული გუნდი გვყავს

# ჩვენი სურვილიც ეს არის





## DERBY DELLA MADONINA

INTER VS ACM

## EL CLASICO

FCB VS

ხვალ: 18.00 და 22.00

## კობიაშვილი პორტუში, კალაძეს კი თოფიანები დახვდებიან

UEFA CHAMPIONS LEAGUE

სელტიკი — ბარსელონა

ლიონი — მანჩესტერი

შალკე — პორტუ

ლივერპული — ინტერი

რომა — რეალი

არსენალი — მილანი

ოლიმპიაკოსი — ჩელსი

ფენერბახჩე — სევილია

I მატჩები გაიმართება 2008 წლის 19-20 თებერვალს, საპასუხოები 4-5 მარტს

# საბოლოო შეთანხმება: ტოპმიოლერი ორი წლით დარჩა

კლაუს ტოპმიოლერთან და რალფ მინგესთან კონტრაქტის ორი წლით გაგრძელებაზე შეთანხმება მიღწეულია — დარჩა მხოლოდ ქაღალდზე ხელმოწერა, ანუ იურიდიული მხარე. პერ კლაუსი მხოლოდ საქართველოს ნაკრებში იმუშავებს და არავითარ „კაიზერსლაუტერნში" — ამაზე უკვე ვწერდით. „ვიმედოვნებ, რომ ხელშეკრულება ორი წლის შემდეგ კიდევ ექვსი თვით გახანგრძლივდება. ეს იმ შემთხვევაში, თუ ნაკრები სამხრეთ აფრიკაში გასამართ მუნდიალზე გაემგზავრება" — ძლერადი სიტყვებია, რომელიც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა თქვა და ჩვენც ამის საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს... პრესკონფერენციას ახალკაც-ტოპმიოლერის გარდა, რალფ მინგეც დაესწრო, რომელიც, სავარაუდოდ, მალე ახალ პოსტს შეითავსებს ფედერაციაში — არახალია, რომ მინგეს ფედერაციის ტექნიკური დირექტორის თანამდებობას სთავაზობენ, რაც არაერთ საქმეს მოიცავს, მათ შორის, ასაკობრივი ნაკრების კურატორობას. ამ სიახლეებით დაიწყო პრესკონფერენცია ახალკაცმა...



რალფ მინგე, ნოდარ ახალკაცი და კლაუს ტოპმიოლერი

მერაბ ფოლოდაშვილის ფოტო

— რა კრიტერიუმით იხელმძღვანელეთ კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტის გახანგრძლივებისას?

*ნოდარ ახალკაცი:* თუ მხოლოდ შედეგს ავიღებთ, ცხადია, ჩვენი მიზანი სულაც არ ყოფილა ჯგუფში მეექვსე ადგილის დაკავება, მაგრამ გავითვალისწინეთ, რა სახე ჰქონდა ნაკრებს ორი წლის წინ და რა სამუშაოები გასწიეს გერმანელმა მწვრთნელებმა. ის გზა, რომელიც დაიწყო, გაგრძელება სჭირდება და ამ გზამ შეიძლება დიდ გამარჯვებამდე მიგვიყვანოს. ორი წლის განმავლობაში ნაკრების მწვრთნელებმა დეტალური ინფორმაცია მოიპოვეს ქართველ ფეხბურთელებზე — ინფორმაციის თვალსაზრისით, აღრინდელთან შედარებაც არაა და ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია. პლუს, გავითვალისწინეთ, რომ უძნელეს ჯგუფში ვიყავით, შედეგზე საუბრისას ამის აღნიშვნაც აუცილებელია.

— ოფიციალურად როდის გაფორმდება კონტრაქტი?

— შეთანხმებულები ვართ და მთავარი ესაა. ორივე მხარის იურისტები საბოლოო სახეს მისცემენ დოკუმენტებს და ყველა საკითხი, ფინანსურის ჩათვლით, მაშინ გაცხადდება. ჩვენი უახლოესი გეგმები კი 15 იანვარს სოფიაში გასამართი შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე შეთანხმებაა. გვსურს, ჩვენთვის სასურველი ვარიანტი გავიტანოთ, თუ არა და, 16 თებერვალი ბოლო ვადაა და ფიფა თავად შეგვიდგენს კალენდარს...

...აქვე ამხანაგურ მატჩებზეც ვიტყვი: უკვე სამი საგაისო ტესტ-თამაშია დაგეგმილი, 26 მარტისთვის მეტოქის შერჩევა კი გრძელდება. შესაძლოა, კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გავმართოთ, ოღონდ გააჩნია, როგორი გვექნება შესარჩევის კალენდარი, ანუ სექტემბერში ან ოქტომბერში დასვენება მოგვიწევს თუ არა.

— **კონტრაქტში გათვალისწინებული თუ არის, წელიწადში რამდენ დღეს გაატარებს კლაუს ტოპმიოლერი საქართველოში?**

— ყველა ნიუანსს ვითვალისწინებთ. ეს საკითხიც კონტრაქტის გაფორმების შემდეგ გაცხადდება.

— **ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებთან კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე რა სიახლეა?**

— 21-წლამდელთა ნაკრების თავკაც პეტარ სეგრტს მოქმედი კონტრაქტი აქვს და მისი შეცვლის საკითხი არ დგას. 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში კი უახლოეს მომავალში გაირკვევა ყველაფერი.

*ამის შემდეგ კითხვა-პასუხი კლაუს ტოპმიოლერთან იყო.*

— **რატომ დათანხმდით კონტრაქტის გაგრძელებას?**

— ეს საკითხი გუშინ არ გადაგვიწყვეტია. კარგა ხნის წინ გამოვთქვით თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი. გეტყვით, რომ ნაკრებში ჩემი დანიშვნიდან მხოლოდ 6 თვის შემდეგ მოხერხდა გუნდის სრულყოფილად შეკრება და გაცნობა, ეს იყო 2006 წლის მაის-ივნისში, როცა ავსტრია-გერმანიაში ვიყავით. ახლა კი ნაკრების მწვრთნელებმა გაცილებით მეტი ვიცით ფეხბურთელებზე. გვყავს ძლიერი ფეხბურთელები და გამართული გუნდი.

— **მომავალ შესარჩევ ჯგუფს როგორ შეაფასებთ?**

— დამეთანხმებით, იტალია ფავორიტია. ჩერნოგორია მხოლოდ იმის გამო მოხვდა მეექვსე კალათაში, რომ ახალი ქვეყანაა, თორემ რომაელი მირკო ვუჩინიჩი და სხვა ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს. ბულგარეთ-ირლანდიას დიდ ტურნირებზე ხშირად უთამაშიათ. რაც შეეხება კვიპროსს, ამ ნაკრებთან აღრე თითქმის ყველას განაღდებული ჰქონდა სამი ქულა, ბოლო წლებში კი მათ რამდენიმე ძლიერი გუნდი გაამწარეს. იტალიას თუ არ ჩავთვლით, დარწმუნებული ვარ, ჯგუფის დანარჩენ ხუთივე ნაკრებს აქვს მეორე ადგილზე გასვლის იმედი.

— „**კაიზერსლაუტერნს" საბოლოოდ დაშორდით?**

— დიახ. ამ კლუბში აღარ ვმუშაობ. მე ვთქვი, რომ უანგაროდ მინდოდა დახმარება ჩემი რჩევებით ვერ გამიგია, რატომ დაიწერა, თითქოს კლუბს იმიტომ ვეხმარებოდი, რომ „კაიზერსლაუტერნის" მთავარი მწვრთნელობა მინდოდა. და ეს მაშინ, როცა კლუბის ბოლო სხდომაზე მწვრთნელის გათავისუფლების საკითხი რომ დაისვა, მხოლოდ მე დავუჭირე მხარი მის დარჩენას.

— **თქვენი წამოსვლა უარყოფითად იმოქმედებს ლევან ცქიტიშვილისა და ზურაბ მენთეშაშვილის „კაიზერსლაუტერნში" გადასვლაზე?**

— მხოლოდ ცქიტიშვილზე და მენთეშაშვილზეა დამოკიდებული, დათანხმდებიან თუ არა „კაიზერსლაუტერნში" თამაშს.

— **აქვე ზურაბ ხიზანიშვილთან დაკავშირებულ პრობლემურ თემაზეც.**

— მისმა განცხადებებმა ძალიან გამაკვირვა. თქვა და თვითონ ზურამაც აღნიშნა, რომ ყატართან ამხანაგურში ჩვეულ დონეზე ვერ ითამაშა. ლიტვასთან თამაში ოთხშაბათს იყო და მგონი, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ორშაბათის ვარჯიშზე მას სათადარიგოების მაისური თუ ეცვა. ეს არ იყო გადამწყვეტი ვარჯიში. იმ დღეს მან კარგად წარმოაჩინა თავი, ხამშაბათს, დასკვნითი ვარჯიშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე კი ჩემთან მოვიდა და მითხრა, ტრავმირებული ვარო. ექიმთან კონსულტაციამ დაადგინა, რომ ხიზანიშვილი ლიტვასთან ვერ ითამაშებდა და ჩვეულებრივ, შეკრებიდან გავათავისუფლეთ. დანარჩენი კი, რაც მოხდა, ფედერაციის ხელმძღვანელობისგან გავიგე. აქვე ვიტყვი, მე და ზურა ერთად გავფრინდით საქართველოდან. უჩა უგულავასთან ერთად სამხრეთ აფრიკაში მივფრინავდი, ზურა კი — ინგლისში. ჩვეულებრივ დავშორდით ერთმანეთს.

**ილია ნანობაშვილი**

# ახალი მისამართები ქართულ სპორტში



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

მერაბ ფოლოდაშვილის ფოტო

**სპორტის** და ახალგაზრდობის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ფეხბურთის ფედერაციამ, პროფესიული ფეხბურთის ლიგამ, კალათბურთის ფედერაციამ, რაგბის კავშირმა და სხვა სპორტულმა ორგანიზაციებმა მისამართები შეიცვალეს.

ბუნებრივია, ყველანი ერთდროულად სხვადასხვა ოფისებში ვერ გადასახლდებოდნენ, უბრალოდ, პროსპექტს შეეცვალა სახელი.

ამიერიდან, ილია ჭავჭავაძის გამზირის ვაკის პარკის ზედა მონაკვეთს ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი ეწოდება, ჩვენი ქვეყნის უმრავლესი სპორტული ორგანიზაციები კი სწორედ ამ მონაკვეთზე სახლობენ.

## ინგლისი

I ლიგა. XXI ტური

ნორთჰემპტონი 4:1 ბორნმუთი

ბრაიტონი — ჯილინგემი გადაიდო

II ლიგა. XXI ტური

დონსი 1:1 ბრენტფორდი

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XIX ტური

აიაჩო 2:1 ნიორი

ანჟერი 0:0 დიჟონი

ბულონი 2:0 ბრესტი

შატორუ 1:0 გრენობლი

მონპელიე 0:0 გენიონი

რეიმსი — ბასტია გადაიდო

სედანი — ტრუა გადაიდო

ლე ავრი — კლერმონი გადაიდო

ამიენი — ლიბურნი გადაიდო

## ბელგია

იუპილერლიგა. XVII ტური

ვესტერლო — ბრიუგე გადაიდო

## ჩილე

კლაუსურა. პლეი ოფი. ფინალი. I მატჩი

უნ. კონსეპსიონი 0:1 კოლო კოლო

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. XVI ტური

ტილბურგი 1:2 გრააფსხაპი

II დივიზიონი. XXII ტური

აპელდორნი 0:1 ზვოლე

დენ ჰააგი 5:1 ოსი

ალმერე 1:0 დორდრეხტი

იგლსი 3:1 კამბური

ჰელმონდი 0:3 ემენი

სიტარდი 1:0 ჰაარლემი

ტელსტარი — მაასტრიხტი

*შეწყდა უშუქობის გამო მეორე ტაიმში, როცა ანგარიში იყო 0:1*

ვეენდამი — როზენდალი და დენ ბოსხი — ვოლენდამი გადაიდო

## პორტუგალია

სუპერლიგა. XIV ტური

ბენფიკა 3:0 ამადორა

## თურქეთი

სუპერლიგა. XVII ტური

მანისა 1:2 ბეშიქთაში

# საქართველოს საგაისო ნაკრები რუმინეთის თანახმაა: 19 ნოემბერს ბუქარესტში




მიშა ახალკაცის ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრებისთვის 2008 წელს უკვე მესამე ამხანაგური მატჩი დაუგეგმა: გაისად, 19 ნოემბერს კლაუს ტოპმიოლერის გუნდი რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაეჯიბრება მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებს.

ორი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებს შორის მოლაპარაკება გუშინწინ ღამით წარმატებით დასრულდა.

შეგახსენებთ, რომ რუმინეთის ნაკრებთან მატჩამდე ორი სპარინგმეტოქის ვინაობაც გაირკვა — 6 თებერვალს შინ ლატვიასთან, 20 აგვისტოს კი სტუმრად უელსთან.

საქართველოს ეროვნული ნაკრები რუმინეთს აქამდე ხუთჯერ შეხვედრია და ამ მატჩების ოქმებს ქვემოთ გთავაზობთ. იქამდე კი გეტყვით, რომ ამ თამაშებიდან ყველაზე მტკივნეული 2001 წლის 28 მარტს იყო — რუმინეთთან შინ 0:2 წაგებამ საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის რეალური შანსი მოუსპო...

**ბახა შალამბერიძე**

ამხანაგური მატჩი. 24 აპრილი. 1996.
ბუქარესტი. „სტიაუა". 25 000

**რუმინეთი 5:0 საქართველო**

1:0, 2:0 3:0 მოლდოვანი (26, 29, 37), 4:0 ლეკატუში (50), 5:0 გილკა (88)

**საქართველო:** დევაძე, რევიშვილი, ცხადაძე (სეფაშვილი 77), ჩიხრაძე, კუდინოვი, გოგიჩაიშვილი (იონანიძე 67), ნემსაძე (გურულა 46), ჯამარაული (ცქიტიშვილი 46), ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე (გოგრიჭიანი 46)

მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

მსაჯი: ა. ზაქარიადისი (საბერძნეთი)

კვიპროსის საერთაშორისო ტურნირი. 4 თებერვალი. 2000.
ლარნაკა. „ზენონი" 1.500

**რუმინეთი 1:1 (4:23) საქართველო**

0:1 ქეცბაია (41), 1:1 მილოდანი (81)

*პენალტები გაიტანეს ქეცბაიამ და შეყილაძემ; ვერ გაიტანეს ნემსაძემ და ჯანაშიამ*

**საქართველო:** გვარამაძე, შეყილაძე, ხიზანიშვილი, ნემსაძე, მენთეშაშვილი (ზ. ჯანაშია 46), ჩიხრაძე, სიჭინავა, ქეცბაია, ჯამარაული, ყაველაშვილი (ძოძუაშვილი 90), ა. არველაძე (ქემოკლიძე 67)

მწვრთნელები: დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი

გაფრთხილება: ნემსაძე, ყაველაშვილი, ჯანაშია, ქემოკლიძე, შეყილაძე

მსაჯი: კ. კაპიტანისი (კვიპროსი)

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 28 მარტი. 2001.
თბილისი. „ეროვნული". 27 000

**საქართველო 0:2 რუმინეთი**

0:1 მუნტეანუ (69), 0:2 კონტრა (81)

**საქართველო:** გვარამაძე, სილაგაძე (ა. იაშვილი 72), კობიაშვილი, რეხვიაშვილი, ხიზანიშვილი, კალაძე, ნემსაძე, ყაველაშვილი (ზ. ჯანაშია 52), ქეცბაია (ქემოკლიძე 90), ქინქლაძე, შ. არველაძე.

მწვრთნელები: დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი

გაფრთხილება: ქემოკლიძე

მსაჯი: რ. პედერსენი (ნორვეგია)

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 6 ოქტომბერი.
2001. ბუქარესტი. „სტიაუა" 20 000

**რუმინეთი 1:1 საქართველო**

0:1 იაშვილი (54), 1:1 პოპესკუ (88)

**საქართველო:** გვარამაძე, კობიაშვილი, ხიზანიშვილი, რეხვიაშვილი, საჯაია, ცქიტიშვილი, კალაძე, ჯამარაული, ა. იაშვილი (ალექსიძე 81), ქინქლაძე (ქეცბაია 62), ყაველაშვილი (ბურდული 75)

მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

გაფრთხილება: კობიაშვილი, ცქიტიშვილი

მსაჯი: ლ. მიხელი (სლოვაკეთი)

კვიპროსის საერთაშორისო ტურნირი. 18 თებერვალი. 2004.
ლარნაკა. „ზენონი". 1 500

**რუმინეთი 3:0 საქართველო**

1:0, 2:0 მუტუ (30, 70), 3:0 ჩერნატი (87)

*დარასელიამ ვერ გაიტანა პენალტი (10, ააცილა)*

**საქართველო:** გვარამაძე, ქემოკლიძე, წერეთელი, ამისულაშვილი, ვ. დარასელია, გოგობერიშვილი (ლ. კორღალიძე 67), ნემსაძე (გაბიდაური 83), ქინქლაძე (მაშიაშვილი 46), კვირკველია (ლ. მელქაძე 85), ლ. ახალაია (სირაძე 27), ს. იაშვილი (მალარაძე 85)

მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

გაფრთხილება: სირაძე, კვირკველია

მსაჯი: რ. ლაიუკსი (ლატვია)

# სხვებმა ილაპარაკონ, მე ვითამაშებ!

## ლევან ყენია: 18 წლისა მთავარ გუნდში ვიქნები

**ლევან ყენია — ევრო-2008-ის და, საერთოდ, ბოლო ხუთი შესარჩევი ციკლის უმრწმესი ფეხბურთელია, რომელსაც თავისი ნაკრების ოფიციალურ მატჩში უთამაშია. არა გვგონია, მის დიდ ტალანტში ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს, საქართველოს ნაკრების ბოლო თამაშებში ლევანი ერთ-ერთი საუკეთესო იყო და, მართალია, ჯერ მხოლოდ ვიწრო წრეში, მაგრამ უკვე ადარებენ არგენტინელ ლეო მესის. „დრო მოვა და „შალკეს" ყენიას შენარჩუნება გაუჭირდება" — ეს სიტყვები კლაუს ტოპმიოლერმა გერმანულ მედიას უთხრა. ჯერჯერობით კი, 17 წლის ქართველი შემტევი „შალკეს" 19-წლამდელთა გუნდში ირიცხება, მაგრამ თამაშის უფლება არ აქვს. ლევანი ამჟამად თბილისშია და ჩვენც გუშინ ვესაუბრეთ...**

— ახლა არდადეგები გვაქვს, სამი დღის წინ ჩამოვედი და 2 იანვარს ისევ მივდივარ გელზენკირხენში. თამაში არ მიწევს, მაგრამ კარგად მოვეწყვე, ვარჯიშებზეც ყოჩაღად ვარ.

— თამაში როდიდან მოგიწევს?

— 1 იანვრიდან მექნება უფლება. გერმანიის ფეხბურთის კავშირიდან ნაბართვაა საჭირო. რა ვიცი, ასეთი წესი ყოფილა... ძალიან გამიჭიანურეს, თუმცა ამას აღარ დავეძებ, ახალი წლიდან ნამდვილად ვითამაშებ.

— არც ამხანაგურებში გითამაშია?

— არა. ჩვენს 19-წლამდელთა გუნდს ბუნდესლიგის მატჩები ჰქონდა და ამხანაგურები არ უთამაშია. ახლა რომ ჩავალ, ტურნირი ეწყობა მთელი გერმანიის მასშტაბით და იქ ვითამაშებ.

— 19-წლამდელთა ბუნდესლიგაში „ფრაიბურგის" დავით თარგამაძე თამაშობს...

— ამ ასაკის ბუნდესლიგა ზონებადაა დაყოფილი, „შალკე" და „ფრაიბურგი" სხვადასხვა ზონებში არიან და ამიტომ ვერ მომიწევს თარგამაძესთან შეხვედრა. თუმცა იმედი მაქვს, დრო მოვა და, ჩვენ ძირითად გუნდებში დავუპირისპირდებით ერთმანეთს.

— როგორ ატყობ, გაისადვე შეიძლება „შალკეს" მთავარი გუნდის ფეხბურთელი გახდე?

— 18 წლის რომ გავხდები, ავტომატურად ვხდები მთავარი „შალკეს" ფეხბურთელი. ასეთია კონტრაქტის ერთ-ერთი პირობა.

— ლევან კობიაშვილისგან ვიცით, რომ მთავარ გუნდში ყოველწლიურად გადაჰყავთ 19-წლამდელთა გუნდიდან მოთამაშეები...

— კი, ორი ან სამი ფეხბურთელი გადაჰყავთ ხოლმე. კობიაშვილის ძალიან მადლიერი ვარ, გვერდში მიდგას და რჩევებს მაძლევს.

— მწვრთნელი რას გეუბნება, კმაყოფილია?

— ჯერ ნახევარზე მეტი არ მესმის გერმანული, მაგრამ ხომ ფაქტია: რომ არ მოვწონდე, გუნდში რას გამაჩერებდა...

— ახლა ნაკრებზეც: კერძოდ კი, იმ თამაშზე, რომელიც შენ ძალიან კარგად ითამაშე, მაგრამ გუნდმა წააგო — ლიტვასთან.

— საშინლად არ გაგვიმართლა. ხელით ხომ არ შევიტანდით ბურთს კარში?! მარტო მე კი არა, მთლიანად ნაკრებმა ვითამაშეთ კარგად, მაგრამ, სამწუხაროდ...

— ვეება ტანის ლიტველებს ძალიან ადვილად უსხლტებოდი ან ჯარიმას მაინც იკიდებდი...

— სხვათა შორის, მასეთ ბრგე ფეხბურთელებთან უფრო მიადვილდება თამაში — მაგათთან ტექნიკა ჭრის.



ვაჩე კიკილაშვილის ფოტო

— ერთიც: ბევრის აზრით, 17 წლის ფეხბურთელებისთვის ეროვნულ ნაკრებში თამაში ნაადრევია. რას ეტყვი მათ, ვინც ასე ფიქრობ?

— ყველას შეუძლია, საკუთარი აზრი ჰქონდეს და გამოთქვას კიდეც. მთავარია, ვინ როგორ თამაშობს მინდორზე.

— მომავალ შესარჩევ ჯგუფზეც ვთქვათ...

— წინა ჯგუფთან შედარებაც არ არის, ახლა ორის ნაცვლად, ერთი გრანდი შეგვხვდა. ჩემი აზრით, ამ ჯგუფიდან გასვლა შესაძლებელია.

**ილია ნანობაშვილი**

# ფიფიას დნიპრო ეპატიჟება
## წასვლა-არწასვლა იანვრამდე გაირკვევა



საქართველოს ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტი „ზესტაფონი“ თბილისში შეიკრიბა და ხან იპოდრომზე, ხანაც დიღუბის მანეჟში ვარჯიშობს. თემურ მახარაძის გუნდი ნააახალწლევს ჯერ ბაკურიანში, შემდეგ კი ანთალიაში გაემგზავრება შეკრებაზე.

და რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს გუნდის შემადგენლობაში? გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივში“ ბრუნდება, იგი განათხოვრებით იყო „ზესტაფონში“. ბექა გოცირიძის შეძენა ნალჩიკის „სპარტაკს“ სურდა, თუმც ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, რადგან ფეროელთა ხელმძღვანელობამ მისი გაყიდვა არ ისურვა. ოღონდ, როგორც გავიგეთ, გოცირიძის საკითხი ჯერ არ დახურულა.

გუნდის კაპიტან კახა ჩხეტიანს კონტრაქტი დაუმთავრდა და დიდი შანსია, ყაზახეთში გააგრძელოს კარიერა, კერძოდ, ლაპარაკია „ტობოლზე“, რომელმაც ზაფხულში იმერლები ინტერტოტოს თასიდან გამოთიშა.

კიდევ ერთი სავარაუდო წამსვლელი კი გოგი ფიფიაა — უკრაინის ჩემპიონატის ლიდერი „დნიპრო“ ეპატიჟება.

„ჯერჯერობით გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და ჩემი საკითხი იანვრამდე გაირკვევა. არ არის გამორიცხული, სეზონის ბოლომდე დავრჩე, სწორედ ზაფხულში მიმთავრდება კონტრაქტი „ზესტაფონთან“. მაქვს ყაზახური და უკრაინული ვარიანტები, თუმც მეც და კლუბის ხელმძღვანელობასაც უკრაინული უფრო გვაინტერესებს. ეს გუნდი „დნიპროა“ — გვითხრა ფიფიამ.

მოკლედ, შესაძლოა, მალე კიდევ ერთი ქართულ-უკრაინული ტრანსფერი შედგეს...

**ილია ნანობაშვილი**



მიხეილ აშვეთია

# რამდენ ქართველს დაითვლიან ანჟელები?

მახაჩყალის „ანჟი“ 11 იანვარს თურქულ ბელეკში გაემგზავრება შეკრებაზე და იქ შეუერთდებიან გუნდს ქართველი ახალწვეულები — მიხეილ აშვეთია და ვალერი აბრამიძე.

ისე, ახალწვეულები, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული ნათქვამია — აშვეთია და აბრამიძე უკვე რამდენიმე თვეა, ანჟელები არიან, ოღონდ აქამდე თამაშის უფლება არ ჰქონდათ. მახაჩყალურ კლუბს რუსეთის საფეხბურთო კავშირი დარღვევების გამო ახალი ფეხბურთელების დარეგისტრირებას უკრძალავდა და ჩვენებიც მხოლოდ ვარჯიშს ახერხებდნენ.

შეგახსენებთ, რომ „ანჟი“ უკვე დატოვა კიდევ ერთმა ქართველმა, ზურაბ არზიანმა. გოჩა ხოჯავას ამბავი კი ჯერაც გადაუჭრელია — რუსული სააგენტოების ცნობით, მხარეები ალბათ შეთანხმდებიან და ხოჯავაც ამ სეზონს „ანჟიში“ გაატარებს. რაც შეეხება რუსთავის ოლიმპელ რევაზ ჯიქიას, მისი ამბავი ჯერჯერობით უცნობია...

**კახა ზალამბერიძე**

# სანამ ოლიმპი წავა, ოლიმპიდან წავიდნენ

საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ ახალი წლიდან, ფაქტობრივად, ახალი გუნდი იქნება. „ოლიმპიდან“ ახლახან ათამდე ფეხბურთელი გაათავისუფლეს და დაახლოებით ამდენივეს შეკრების დაწყებისთანავე მოარგებენ თავიანთ მაისურას. ლაშა ქებაძე, გიორგი ნავალოვსკი, ლადო დვალიშვილი, ბოდრი მასუანგა, ალექსანდრე კოშკაძე, რევაზ ჯიქია, მიხეილ ალავიძე, ვლადან ჟივკოვიჩი, ნიკა ყრუაშვილი და კიდევ რამდენიმე ჭაბუკი „ოლიმპმა“ სხვადასხვა მიზეზით დაითხოვა, სამაგიეროდ კი, „გაგრადან“ ზეიად მეტრეველი, „ბორჯომიდან“ მეკარე ბექა შეყრილაძე, „ჩიხურადან“ გოჩა სტეფანიშვილი, „მგლებიდან“ კი გელა ხუბუა, თემურ ფარულავა, გიორგი ჭედია და ვლადიმერ ჯოჯუა შეიგულეს. „ოლიმპში“ ითამაშებს ლიტვურ „ვეტრაში“ განათხოვრებული თავდამსხმელი ვახტანგ კვარაცხელია. გამოცდილმა მცველმა დავით ჭიჭველიშვილმა კი ტრავმა მოიშუშა და გუნდთან ერთად მზადებას ისიც განაახლებს. ამ ფეხბურთელების გარდა „ოლიმპი“ რამდენიმე უკრაინელ ფეხბურთელსაც ელის.

„ოლიმპი“ 6 იანვარს შეკრებაზე ალუშტაში მიემგზავრება და უკრაინელთა დამატების საკითხიც სწორედ იმ პერიოდში გაირკვევა. რუსთაველთა უკრაინელი მწვრთნელი ანატოლი პისკოვეცი კი ამჟამად შინ არის და გუნდს ალუშტაში დახვდება.

უკრაინულ შეკრებაზე „ოლიმპი“ 18 ფეხბურთელით მიდის და ესწრებს ჩემპიონთა ტურნირზეც, რომელსაც წლეულს სანქტ პეტერბურგი უმასპინძლებს, პისკოვეცის შეგირდები ალუშტადან ჩავლენ.

ვნახოთ, „ოლიმპიდან“ სხვა ამბები მზადების დაწყების შემდეგ იყოს...

**ლუკა თალაკვაძე**

# საქართველოს ჭაბუკთა ლიგა

2007-08 **წლების** სეზონში ჭაბუკთა ლიგაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა — ადრე საქართველოს ჩემპიონატი ოთხ, ხოლო ჭაბუკთა ლიგა სამ ასაკობრივ ჯგუფში ტარდებოდა.

პირველობაში უმაღლესი ლიგის კლუბების ბავშვთა გუნდების გარდა ყველა საფეხბურთო სკოლა მონაწილეობდა, ჭაბუკთა ლიგაში კი პირიქით.

ახალმა სისტემამ კი მოაგვარა ბევრი ძველი პრობლემა, რაც დაღებითად აისახა გუნდების გადაადგილებასთან დაკავშირებულ ფინანსურ ხარჯებზეც.

2007-08 წლებში ჭაბუკთა ლიგამ კარი გაუღო ამ შეჯიბრებებში მონაწილეობის სურვილის მქონე ყველა სკოლას.

ასე შეუერთდა საქართველოს უმაღლესი ლიგის 14 კლუბი 10 საუკეთესო სკოლას. 24 კლუბი და სკოლა გაიყო 3 ზონად, თითოეულში 8-8 გუნდი. უეფას საკლუბო ლიცენზირების მოთხოვნების თანახმად, თითოეული კლუბი ან სკოლა ვალდებული იყო, გამოეყვანა 3 ასაკობრივი გუნდი (1990, 1991 და 1992 წლებში დაბადებულები).

იმის გამო, რომ დასავლეთში სფფ-ის მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი ლიგის მხოლოდ სამი კლუბი და ერთი საფეხბურთო სკოლაა, ფედერაცია იძულებული იყო, დასავლეთ ზონაში გადაეყვანა ცენტრალური ზონის რამდენიმე კლუბი.

შეჯიბრებები ტარდება წრიული სისტემით. სეზონის ბოლოს თავის ზონაში გამარჯვებული სამი გუნდი ერთი წრიული სისტემით გაითამაშებს პირველ, მეორე და მესამე ადგილებს.

1990-იანებში პირველ ადგილზე გასული გუნდი გახდება გივი ჩოხელის, 1991-იანებში — მიხეილ მესხის, ხოლო 1992-იანებში — სლავა მეტრეველის სახელობის თასის მფლობელი.

ვიტალი დარასელიას სახელობის თასის გათამაშების წინა ეტაპები (1993 წელს დაბადებულები) ტარდება ფედერაციის ეგიდით რეგიონული ფედერაციების მიერ.

და ერთიც: საერთო ცხრილში თავმოყრილია სამი ასაკობრივი ჯგუფის კლუბების და სკოლების შედეგები პირველი წრის შემდეგ. ეს ახალი შეჯიბრებაა — სეზონის ბოლოს სამი უძლიერესი სკოლა ან კლუბი ერთი წრიული სისტემით გაითამაშებენ პირველ, მეორე და მესამე ადგილებს.

პირველ ადგილზე გასული კლუბი ან სკოლა გახდება თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული მწვრთნელის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტის, ნოდარ ახალკაცის სახელობის თასის მფლობელი.

**კახა ზალამბერიძე**

### 1990 წელს დაბადებულები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი ზონა** | | | | | | |
| ლოკომოტივი | 14 | 12 | 0 | 2 | 43:17 | 36 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 11 | 0 | 3 | 31:6 | 33 |
| ნ. დინამო | 14 | 9 | 1 | 4 | 44:22 | 28 |
| ოლიმპი | 14 | 8 | 0 | 6 | 30:28 | 24 |
| ოლიმპი 2 | 14 | 6 | 0 | 8 | 33:32 | 18 |
| სიონი | 14 | 3 | 1 | 10 | 25:45 | 10 |
| ავაზა | 14 | 3 | 0 | 11 | 26:53 | 9 |
| ერთობა | 14 | 3 | 0 | 11 | 14:43 | 9 |
| **ცენტრალური ზონა** | | | | | | |
| დინამო | 14 | 10 | 2 | 2 | 48:18 | 32 |
| ამერი | 14 | 8 | 1 | 5 | 34:15 | 25 |
| მერანი | 14 | 7 | 4 | 3 | 29:19 | 25 |
| ოლიმპიკი | 14 | 7 | 2 | 5 | 30:23 | 23 |
| 35-ე სკოლა | 14 | 7 | 2 | 5 | 28:29 | 23 |
| თს. აკადემია | 14 | 4 | 1 | 9 | 14:30 | 13 |
| მთ. გლობუსი | 14 | 3 | 3 | 8 | 19:39 | 12 |
| იმედი | 14 | 1 | 3 | 10 | 9:38 | 6 |
| **დასავლეთი ზონა** | | | | | | |
| ზესტაფონი | 14 | 12 | 0 | 2 | 31:11 | 36 |
| ბორჯომი | 14 | 10 | 3 | 1 | 40:15 | 33 |
| მართვე | 14 | 10 | 1 | 3 | 39:21 | 31 |
| მგლები | 14 | 6 | 2 | 6 | 25:18 | 20 |
| სპარტაკი (ცხ) | 14 | 5 | 1 | 8 | 24:32 | 16 |
| დილა | 14 | 4 | 2 | 8 | 16:32 | 14 |
| ბათუმი | 14 | 4 | 1 | 9 | 21:29 | 13 |
| მესხეთი | 14 | 0 | 0 | 14 | 15:53 | 0 |

### 1991 წელს დაბადებულები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი ზონა** | | | | | | |
| ოლიმპი | 14 | 12 | 1 | 1 | 68:10 | 37 |
| ნ. დინამო | 14 | 10 | 2 | 2 | 46:10 | 32 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 9 | 2 | 3 | 35:19 | 29 |
| სიონი | 14 | 5 | 4 | 5 | 17:37 | 19 |
| ერთობა | 14 | 5 | 3 | 6 | 18:25 | 18 |
| ლოკომოტივი | 14 | 4 | 1 | 9 | 17:25 | 13 |
| ოლიმპი 2 | 14 | 2 | 1 | 11 | 16:52 | 7 |
| ავაზა | 14 | 0 | 4 | 10 | 8:47 | 4 |
| **ცენტრალური ზონა** | | | | | | |
| 35-ე სკოლა | 14 | 11 | 1 | 2 | 29:11 | 34 |
| დინამო | 14 | 10 | 2 | 2 | 27:5 | 32 |
| თს. აკადემია | 14 | 8 | 3 | 3 | 18:8 | 27 |
| მერანი | 14 | 7 | 3 | 4 | 18:9 | 24 |
| ოლიმპიკი | 14 | 7 | 1 | 6 | 22:23 | 22 |
| ამერი | 14 | 4 | 3 | 7 | 13:16 | 15 |
| მთ. გლობუსი | 14 | 2 | 0 | 12 | 12:30 | 6 |
| იმედი | 14 | 0 | 1 | 13 | 4:41 | 1 |
| **დასავლეთი ზონა** | | | | | | |
| ბათუმი | 14 | 11 | 3 | 0 | 33:11 | 36 |
| ზესტაფონი | 14 | 8 | 5 | 1 | 26:13 | 29 |
| მგლები | 14 | 6 | 4 | 4 | 25:13 | 22 |
| მართვე | 14 | 6 | 2 | 6 | 12:13 | 20 |
| ბორჯომი | 14 | 5 | 4 | 5 | 18:14 | 19 |
| სპარტაკი (ცხ) | 14 | 4 | 4 | 6 | 19:14 | 16 |
| დილა | 14 | 2 | 6 | 6 | 11:18 | 12 |
| მესხეთი | 14 | 0 | 0 | 14 | 8:56 | 0 |

### 1992 წელს დაბადებულები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი ზონა** | | | | | | |
| ოლიმპი | 14 | 12 | 0 | 2 | 68:10 | 36 |
| ლოკომოტივი | 14 | 9 | 3 | 2 | 46:10 | 30 |
| ავაზა | 14 | 8 | 2 | 4 | 35:19 | 26 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 7 | 2 | 5 | 17:37 | 23 |
| ოლიმპი 2 | 14 | 6 | 3 | 5 | 18:25 | 21 |
| ნ. დინამო | 14 | 4 | 1 | 8 | 17:25 | 16 |
| სიონი | 14 | 2 | 0 | 12 | 16:52 | 6 |
| ერთობა | 14 | 1 | 1 | 12 | 8:47 | 4 |
| **ცენტრალური ზონა** | | | | | | |
| დინამო | 14 | 10 | 4 | 0 | 45:7 | 34 |
| 35-ე სკოლა | 14 | 8 | 3 | 3 | 37:17 | 27 |
| მერანი | 14 | 7 | 4 | 3 | 32:14 | 25 |
| თ. გლობუსი | 14 | 6 | 2 | 6 | 26:40 | 20 |
| ამერი | 14 | 5 | 2 | 7 | 27:73 | 17 |
| ოლიმპიკი | 14 | 5 | 2 | 7 | 24:31 | 17 |
| თს. აკადემია | 14 | 3 | 2 | 9 | 10:35 | 11 |
| იმედი | 14 | 2 | 1 | 11 | 14:44 | 7 |
| **დასავლეთი ზონა** | | | | | | |
| დილა | 14 | 13 | 0 | 1 | 50:12 | 39 |
| მგლები | 14 | 10 | 1 | 3 | 30:19 | 31 |
| მართვე | 14 | 7 | 3 | 4 | 23:14 | 24 |
| ზესტაფონი | 14 | 5 | 5 | 4 | 28:17 | 20 |
| სპარტაკი (ცხ) | 14 | 5 | 3 | 6 | 17:28 | 18 |
| ბათუმი | 14 | 3 | 3 | 8 | 19:27 | 12 |
| ბორჯომი | 14 | 3 | 1 | 10 | 14:30 | 10 |
| მესხეთი | 14 | 2 | 0 | 12 | 14:48 | 6 |

## 1990-91-92 წლებში დაბადებულთა ჭაბუკთა ლიგის საერთო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი ზონა** | | | | | | |
| ოლიმპი | 42 | 32 | 1 | 9 | 163:42 | 97 |
| ვიტ ჯორჯია | 42 | 27 | 4 | 11 | 97:48 | 85 |
| ლოკომოტივი | 42 | 25 | 4 | 13 | 94:51 | 79 |
| ნ. დინამო | 42 | 24 | 4 | 14 | 114:67 | 76 |
| ოლიმპი 2 | 42 | 14 | 4 | 24 | 65:103 | 46 |
| ავაზა | 42 | 11 | 6 | 25 | 58:121 | 39 |
| სიონი | 42 | 10 | 5 | 27 | 25:45 | 35 |
| ერთობა | 42 | 9 | 4 | 29 | 48:130 | 31 |
| **ცენტრალური ზონა** | | | | | | |
| დინამო | 42 | 30 | 8 | 4 | 120:30 | 98 |
| 35-ე სკოლა | 42 | 26 | 6 | 10 | 94:57 | 84 |
| მერანი | 42 | 21 | 11 | 10 | 79:42 | 74 |
| ოლიმპიკი | 42 | 19 | 5 | 18 | 76:77 | 62 |
| ამერი | 42 | 17 | 6 | 19 | 74:58 | 57 |
| თს. აკადემია | 42 | 15 | 6 | 21 | 42:73 | 51 |
| მთ. გლობუსი | 42 | 11 | 5 | 26 | 57:109 | 38 |
| იმედი | 42 | 3 | 5 | 34 | 27:123 | 14 |
| **დასავლეთი ზონა** | | | | | | |
| ზესტაფონი | 42 | 25 | 10 | 7 | 85:41 | 85 |
| მართვე | 42 | 23 | 6 | 13 | 74:48 | 75 |
| მგლები | 42 | 22 | 7 | 13 | 80:50 | 73 |
| დილა | 42 | 19 | 8 | 15 | 77:62 | 65 |
| ბორჯომი | 42 | 18 | 8 | 16 | 72:59 | 62 |
| ბათუმი | 42 | 18 | 7 | 17 | 73:67 | 61 |
| სპარტაკი (ცხ) | 42 | 14 | 8 | 20 | 60:74 | 50 |
| მესხეთი | 42 | 2 | 0 | 40 | 37:157 | 6 |

| XVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ალმერია | : | ხეტაფე |
| სარაგოსა | : | ვალენსია |
| სევილია | : | რასინგი |
| **ხვალ** | | |
| ვალიადოლიდი | : | ბეტისი |
| ვილიარეალი | : | უელვა |
| ატლეტიკო | : | ესპანიოლი |
| ლევანტე | : | დეპორტივო |
| ბარსელონა | : | რეალი |
| ოსასუნა | : | მალიორკა |
| ბილბაო | : | მურსია |

ესპანეთი

# შადრევნების ელ კლასიკო

**„რეალის" ინჩასები საყვარელი გუნდის ყოველი დიდი გამარჯვებისას მადრიდში, სიბელესის შადრევანთან იკრიბებიან და გრანდიოზულ ფიესტას აწყობენ. „ბარსას" გულშემატკივართა საზეიმო ადგილი კი ბარსელონას ცენტრში, კანალეტასის შადრევანთანაა. ეს ორი ადგილი პირინეული გრანდების სიმბოლოდ ქცეულა და, ცხადია, ესპანეთში ყველას აინტერესებს, ხვალინდელი „ელ კლასიკოს" მერე ფანობა სადღესასწაულოდ რომელს ესტუმრება — „ბუზღუნა მადრიდელ ბებრუხანა სიბელესს" თუ ბარსელონურად „ამპარტავან კანალეტასს". ესპანურმა „მარკამ" კი დიდ ჯახამდე ინგლა და მეტოქეთა ვირტუალური სიტყვიერი პაექრობაც მოაწყო. კანალეტასი სიბელესის წინააღმდეგ, აი, სეირი!**




## კანალეტასი სიბელესს

**ძალიან** ვწუხვარ, სიბელეს, მაგრამ წლეულს, თქვენდამი ულრმესი პატივისცემის მიუხედავად, საშობაო ფიესტა უნდა ჩაგაშხამოთ. რალაც მეტისმეტად დაგვიწინაურდით და ხომ უნდა გამოჩნდეს ვინმე, რომელიც შესაფერის ადგილს მოგიჩენთ...

პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ და დასაწყისისთვის თქვენი გუნდის მწვრთნელი ვახსენოთ. „ხეტაფეს", „ლევანტესა" და „ხერესის" წინაშე კი ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მათ ყოფილ მაესტრო ბერნდ შუსტერს, როგორც მწვრთნელს, ცხოვრებაში არაფერი მოუგია და „რეალის" წლევანდელ „ბანდას" თუ გავითვალისწინებთ, ფაბიო კაპელოც რომ დაგიბრუნდეთ, ჯილდოები მაინც გვერდზე დაგრჩებათ. შუსტერმა თავისი პირველი ტიტულის მოგების შესაძლებლობა ესპანეთის სუპერთასზე გაანიავა — მაშინ „სევილიამ" გადაგიარათ...

შემდეგ ის, რომ კრედიტი დაგიგროვდათ და ვერაფერიშვილი მოსაწონია ბოლო სამი წლის განმავლობაში „კამპ ნოუდან" თქვენი წაუგებლად წაბრძანება. მაგრამ ჭიქა შეიძლება ნახევრად ცარიელიც იყოს და ნახევრად სავსეც, გააჩნია, ვინ როგორ შეხედავს. ბოლო 24 წლის მანძილზე მადრიდის „რეალმა" „კამპ ნოუზე" მხოლოდ ერთი თამაში რომ მოიგო, ის ხომ არ გავიწყდებათ, პატივცემულო?! ჩვენ ბარსელონაში მარტო მოგებაზე ვთამაშობდით, რაც თქვენც იცით და მთელმა ქვეყანამაც.

ახლა შემადგენლობებს გადავხედოთ. რომელ პოზიციაზე ჰყავს მადრიდს „ბარსელონაზე" უკეთესი ფეხბურთელი? რასაკვირველია, დამიწყებთ იმის მტკიცებას, რომ კასილიასი, კასილიასი და ისევ კასილიასიო. გეთაყვა, ერთი მიბრძანეთ, იკერს კარიერის მანძილზე „ზამორას" ჯილდო რამდენჯერ მოუგია? „ბარსას" ვიქტორ ვალდესი იყო ამ ტიტულის მფლობელი, კასილიასი კი რალაც არ მახსოვს... გარდა ამისა, „რეალს" გასული სეზონის კაპელოს ცნობილი „ბრავადა" და სიყოჩაღე თოვლივით შემოადნა ტანზე, „ბარსელონა" კი წლეულს გადამწყვეტ მატჩებში (იხ. ჩემპიონთა ლიგა) თავის ეფექტურობას ამტკიცებს.

ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, გუტი „კამპ ნოუზე" ითამაშებს თუ არა, ან რონალდინიო სათადარიოგებში თუ დარჩება. თავდაპირველად მოგახსენებთ, სენიორა, რომ „გაუჩო" იბურთავებს — რონალდინიო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და „რეალის" მარჯვენა ფლანგს ამ ჭეშმარიტებაზე სიმწრით მოუწევს თავის დაქნევა. არ გჯერათ? კი, ბატონო, „რეალის" იმ ფანებს შეეკითხეთ, წინა სეზონში ბრაზილიელს „ბერნაბეუზე" ტაში რომ დაუკრეს...

აბა, ჩვენს „არტილერისტებს" რამე დაეწუნებათ? ყმაწვილს, სახელად სამუელ ეტოოს, ცხადია, იცნობთ, ბოლოს და ბოლოს, ყოფილი თქვენიანია და მშვენივრად იცით, დამაგვირგვინებელი ეპიზოდებისას ფეხის უხეიროდ მოქნევა რომ არ სჩვევია. ჰოდა, ეს ეტოო კვირას „კამპ ნოუზე" იქნება და შუსტერის „ბანდას" თავისებურად მიუალერსებს...

გუტი, უდავოდ ნიჭიერია, ვერ უარვყოფთ, მაგრამ წლეულს მოედნის ცენტრში დიდად ღირებული არაფერი შეუქმნია. ტურე იაიას და მაჰამადუ დიარას ხსენებისას კი მოგიწევთ ბარსელონელის უპირატესობის აღიარება. ჰო, მართლა, ათასი მადლობა იმის დამტკიცებისთვის, რომ ჩვენები ხავიერ სავიოლაში არ შემცდარან — ის ძირითადში ვერც „ბარსაში" ხვდებოდა და მთავარ თერთმეტეულს შუსტერის „რეალშიც" ჩამოაცილეს.

ყველამ კარგათ ვიცით, ტიერი ანრი რა კაცია. ფრანგს ელ კლასიკოსნაირი მატჩები უყვარს და გადარევა და მეტოქის გაბდლვნა სჩვევია ხოლმე. „სისხლისმსმელი კოლეგაც" გვყავს, ბოიან კრკიჩი და ჯოვანი დოს სანტოსი. სენიორა, ესენი გოლს მოწყურებულები არიან და თუ თქვენი გუნდი დაცვის ცენტრში „ოცდაათმილიონიან ბრწყინვალე პეპეს" და „ოქროს ბურთის" „დამსახურებულ მფლობელ" ფაბიო კანავაროს გამოიყვანს, „კამპ ნოუზე" კასილიასის საცოდაობის მომსწრე გახდებით...

## სიბელესი კანალეტასს

როგორ არის საქმე? ამ ბოლო დროს კარგად, ხომ? რა გაეწყობა, ბედი მუხთალია, მეგობარო. ოთხი წელიწადი ველოდებოდი ჩემპიონობას, თუმცა, თქვენგან განსხვავებით, მარადიულ მტერს მოგებული ოქროს მედლების რაოდენობით არ ჩამოვრჩებით, ხომ გახსოვთ?

„მარკას" ბიჭებმა მთხოვეს, „ელ კლასიკოს" შესახებ ჩემი აზრიც გამომეთქვა. მიჭირს ლაპარაკი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქვის პირი მაქვს და მეორეც, ძნელია „ბარსელონა" — „რეალზე" რაიმე ახალი და ორიგინალური თქვა. თუმცა მაინც ვეცდები...

„რეალმა" „კამპ ნოუზე" „ბარსას" შიში დაკარგა. აღარც რობერტო კარლოსი გვყავს და აღარც ლუიშ ფიგუ, მათ გარეშე კი ფანტასტიკურ შეცდომებს და ტრა[illegible] ფეხბურთელებისთვის გოჭის თავის სროლას ავცდებით, ეს [illegible] ხომ არ ყოფილა? 225 წლის ვარ და ასაკის გამო ხანდახან შე[illegible] თმანეთში მერევა.

ბოლო დუელი ჩვენს შორის 3:3 დასრულდა, არადა, „რეალს" უნდო მოეგო. ვინ შეასრულა თქვენგან მაშინ ჰეთ თრიქი? მესიმ? რა სამწუხაროა, რომ კვირას ეს შშვენიერი ჭაბუკი არ გეყოლებათ — დამიჯერეთ, ამას ყოველგვარი სარკაზმისა გარეშე გეუბნებით. ახლა უეცრად 2002 წელი გამახსენდა, მაშინ „რეალმა" იყოჩაღა და ასი წლის იუბილეზე ჩემპიონთა თასი მოიგო. ეს მეცხრე თასი იყო და ამაში რალაცნაირად „ბარსელონასაც" მიუძღვის წვლილი. იქნებ პატივი დამდოთ და მოხუც ქალბატონს შემახსენოთ, მაშინ ზიდანმა და მაკმანამანმა თავიანთი გოლებით ლიგის ნახევარფინალში რომელი კლუბი გაამწარეს?!

ვაღიარებ, რომ ცნობისმოყვარე ვარ და იმასაც ვიტყვი, რომ ისტორიაში რალაც გამეგება. „ბარსელონას" ყველა დროში ულავოდ საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავდა. ოთხი მსოფლიო გრანდიდან ორმა (კრუიფმა და მარადონამ) ხომ თქვენთან ითამაშა. იცით ვარსკვლავების შერჩევა, აბა, რა დამავიწყებს, დღეს თქვენგან მოძულებულ რონალდინიოს მადრიდელებმა აპლოდისმენტები რომ მიუძღვნა. მაგრამ გუნდი, ვიმეორებ — გუნდი და არა ცალკეული ოსტატები, ჩვენ ყოველთვის უკეთესი გვყავდა! მადრიდის იყო XX საუკუნე, XXI მოგებით დავიწყეთ და თუ ფეხბურთმა იცოცხლა, XXII საუკუნესაც მომიტევეთ გამოთქმისთვის, ჯიბეში ჩავისვამთ. „რეალს" ჰყავდა დონ დი სტეფანო და ჰყავს რაული. მეტი რალა გითხრათ? ეს იმას ნიშნავს, რომ „ბერნაბეუზე" ინდივიდუალური ნიჭი გუნდის საქმეს, საერთო საქმეს ემსახურება. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს პოლიტიკა ამართლებს, შემიბრალეთ და მოხუცს აქ „რეალის" ტიტულებს ნუ ჩამომათვლევინებთ.

შარშანდელი 3:3 ვახსენე. ლეო მესის ღვაწლს არავინ აკნინებს, მაგრამ სხვა, ერთი ქერა კაბალიეროც ხომ იყო იმ დღეს მოედანზე? გუტიმ გადასარევად ითამაშა და ახლა ერთმა ქერამ (ბერნდ შუსტერმა) „კამპ ნოუზე" მეორე ქერა (ხოსე მარია გუტიერესი) თუ შემოიყვანა, ეჭვი არ შეგეპაროთ, ბურთი ჩვენთან იქნება, გესმით, ჩვენთან!

შუსტერზე ამბობთ, ტიტული არ მოუგიაო. ასე იყოს, არ მოუგია და, „რეალში" მოიგებს. რა, ცუდი ადგილია ჯილდოების დასაგროვებლად?! წლები მამძიმებს, ის კი არ ამომვარდნია მეხსიერებიდან, „ბარსას" მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი თქვენთან ჯილდოებით დახუნძლული რომ არ მისულა. ჰოლანდიელმა ყველაფერი „კამპ ნოუზე" მოიგო, იმიტომ რომ თქვენთან საჯილდაოდ კარგი ადგილია, ჩვენთან კი უკეთესი...

**ლადო ხოშერიძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | | 2:1 | | | 3:1 | | 4:3 | | | 3:1 | 2:0 | | | | 2:0 | | 2:0 | 3:1 | | 16 | 12 | 2 | 2 | 36:14 | 38 | 8 | 0 | 0 | 21:7 | 24 | 4 | 2 | 2 | 15:7 | 14 |
| 2 | ბარსელონა | | | 3:0 | | | | | | 2:1 | 4:1 | 2:0 | 3:0 | 3:1 | | | | | 3:0 | 2:1 | | 16 | 10 | 4 | 2 | 32:12 | 34 | 8 | 0 | 0 | 22:4 | 24 | 2 | 4 | 2 | 10:8 | 10 |
| 3 | ატლეტიკო | | | | 3:4 | | 4:0 | | 1:1 | 4:3 | 4:0 | | | | 1:0 | | 2:0 | 4:3 | | | | 16 | 9 | 4 | 3 | 30:17 | 31 | 6 | 1 | 1 | 23:11 | 19 | 3 | 3 | 2 | 7:6 | 12 |
| 4 | ვილიარეალი | 0:5 | 3:1 | | | | | | | 3:2 | | 1:1 | | 1:0 | | 2:0 | | | 0:1 | | 3:0 | 16 | 10 | 1 | 5 | 29:23 | 31 | 5 | 1 | 2 | 13:10 | 16 | 5 | 0 | 3 | 16:13 | 15 |
| 5 | ესპანიოლი | 2:1 | 1:1 | | | | | | | | | | | 2:1 | 1:0 | 0:0 | | 0:1 | | 1:0 | 1:0 | 16 | 8 | 6 | 2 | 24:18 | 30 | 5 | 2 | 1 | 8:4 | 17 | 3 | 4 | 1 | 16:14 | 13 |
| 6 | რასინგი | | 0:0 | | 0:2 | 1:1 | | 1:0 | 3:1 | | | | | | 2:0 | | | 2:0 | | | 1:0 | 16 | 7 | 5 | 4 | 16:15 | 26 | 5 | 2 | 1 | 10:4 | 17 | 2 | 3 | 3 | 6:11 | 9 |
| 7 | ვალენსია | 1:5 | 0:3 | | 0:3 | 1:2 | | | | | | | | 0:3 | 2:1 | 3:0 | | 2:1 | | | | 16 | 8 | 1 | 7 | 20:26 | 25 | 3 | 0 | 5 | 9:18 | 9 | 5 | 1 | 2 | 11:8 | 16 |
| 8 | მალიორკა | | | | 0:1 | 2:2 | | 0:2 | | | | | | 0:0 | 4:2 | 1:1 | | 4:2 | | | 3:0 | 16 | 5 | 6 | 5 | 25:24 | 21 | 3 | 3 | 2 | 14:10 | 12 | 2 | 3 | 3 | 11:14 | 9 |
| 9 | სევილია | 2:0 | | | | 2:3 | | 3:0 | 1:2 | | | | 4:1 | | 4:1 | 3:1 | | | | 0:1 | | 16 | 6 | 2 | 8 | 28:22 | 20 | 5 | 0 | 3 | 19:9 | 15 | 1 | 2 | 5 | 9:13 | 5 |
| 10 | სარაგოსა | | | | 4:1 | 3:3 | 1:1 | | | 2:0 | | | | | 1:1 | | 2:1 | 2:3 | | | 3:0 | 16 | 5 | 5 | 6 | 25:26 | 20 | 4 | 3 | 1 | 18:10 | 15 | 1 | 2 | 5 | 7:16 | 5 |
| 11 | ალმერია | | | 0:0 | | | 0:1 | 1:2 | 1:1 | 1:0 | 0:1 | | | | | | 2:0 | 1:0 | | | | 16 | 5 | 4 | 7 | 14:18 | 19 | 3 | 2 | 3 | 6:5 | 11 | 2 | 2 | 4 | 8:13 | 8 |
| 12 | უელვა | | | 0:0 | | 2:1 | 0:0 | 0:1 | 0:2 | | 2:1 | | | | | | 1:0 | | 1:1 | | | 16 | 5 | 4 | 7 | 12:19 | 19 | 3 | 3 | 2 | 6:6 | 12 | 2 | 1 | 5 | 6:13 | 7 |
| 13 | ბილბაო | 0:1 | | 0:2 | | | | | | | 1:1 | 1:1 | 2:0 | | | | 0:0 | | 0:0 | 2:2 | | 16 | 4 | 6 | 6 | 15:17 | 18 | 1 | 5 | 2 | 6:7 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:10 | 10 |
| 14 | ხეტაფე | 0:1 | 2:0 | | 1:3 | | | | | | | | 1:1 | 2:0 | | 2:0 | | | | 0:0 | 2:1 | 16 | 5 | 3 | 8 | 17:21 | 18 | 4 | 2 | 2 | 10:6 | 14 | 1 | 1 | 6 | 7:15 | 4 |
| 15 | მურსია | 1:1 | | 1:1 | | | 2:1 | | | | 2:1 | 0:1 | 1:0 | | | | | | 0:0 | 0:2 | | 16 | 4 | 6 | 6 | 13:19 | 18 | 3 | 3 | 2 | 7:7 | 12 | 1 | 3 | 4 | 6:12 | 6 |
| 16 | ოსასუნა | | 0:0 | | 3:2 | 1:2 | | 0:0 | | 1:1 | | | | | 0:2 | | | 2:2 | | | 4:1 | 16 | 4 | 5 | 7 | 17:20 | 17 | 2 | 4 | 2 | 11:10 | 10 | 2 | 1 | 5 | 6:10 | 7 |
| 17 | ვალიადოლიდი | 1:1 | 1:1 | 2:0 | | | | | | 0:0 | | | | 1:2 | | 1:4 | | | | 2:2 | 1:0 | 16 | 4 | 5 | 7 | 21:27 | 17 | 2 | 4 | 2 | 9:10 | 10 | 2 | 1 | 5 | 12:17 | 7 |
| 18 | ბეტისი | | | 0:2 | | 2:2 | 1:1 | 1:2 | 3:0 | | 2:1 | 3:1 | | | | | 0:3 | | | | | 16 | 4 | 5 | 7 | 17:23 | 17 | 3 | 2 | 3 | 12:12 | 11 | 1 | 3 | 4 | 5:11 | 6 |
| 19 | დეპორტივო | | | | | | 0:1 | 2:4 | 1:1 | | 1:1 | 0:3 | 0:2 | | | | 1:2 | | 1:0 | | | 16 | 3 | 5 | 8 | 15:24 | 14 | 1 | 2 | 5 | 6:14 | 5 | 2 | 3 | 3 | 9:10 | 9 |
| 20 | ლევანტე | | 1:4 | 0:1 | | | | | | 0:2 | | 3:0 | 0:2 | 1:2 | | 0:0 | | | 4:3 | | | 16 | 2 | 1 | 13 | 11:32 | 7 | 2 | 1 | 5 | 9:14 | 7 | 0 | 0 | 8 | 2:18 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა...

## დავიდ ალბელდა რუსთაველის ენით ალაპარაკდა



„ვალენსიას" კაპიტანმა დავიდ ალბელდამ საგანგებო პრესკონფერენციაზე ცრემლები ვერ შეიმაგრა, როდესაც კლუბთან განშორებაზე ალაპარაკდა.

ალბელდა, სანტიაგო კანისარესი და მიგელ ანხელ ანგულო „ლამურათა" მწვრთნელმა რონალდ კუმანმა გუნდის კრიზისის მთავარგამომწვევებად ჩათვალა და ფეხბურთელებს განუცხადა, რომ იანვრიდან სხვა კლუბები უნდა ეძებონ.

„არც კუმანს და არც „ვალენსიას" პრეზიდენტ სოლერს უფლება არ ჰქონდათ, ჩემთან ასე მოქცეულიყვნენ — ალბელდა „მესტალიაზე" ყოფნას იმსახურებდა. გუნდისთვის თავს არ ვზოგავდი, მაგრამ ახლა ვითარებათან შერიგება მომიწევს" — თქვა ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველმა ჟურნალისტებთან.

ალბელდამ აღნიშნა, უფროსობას ალბათ ჩემი პირდაპირობა არ მოეწონა და გუნდიდან ამიტომ მაგდებენო: „ბარსასთან" 0:3 წაგების მერე თავკაცებმა მთხოვეს, გულშემატკივრები დამემშვიდებინა — ვითომ ჩვენთან, „ვალენსიაში" მაინც სრული წესრიგი იყო. მე ტყუილი ცხოვრებაში არ მითქვამს და ხალხთანაც ცრუ ორატორად ვერ გავედი, ჩვენი არეული საქმე ისედაც ყველამ იცოდა. ალბათ ამიტომაც ამითვალწუნეს... რა გაეწყობა, ხოხვით სიცოცხლეს ვაჟკაცურად ფეხზე მდგარი სიკვდილი მირჩევნია".

**ლადო ხომერიკი**



# მარკო ჯამპაოლოს ღირსეული უარი

**იტალიური** „კალიარი" კვლავ უთავკაცოდაა. თითქოს გადაწყვეტილი იყო, რომ სარდინიელებს მარკო ჯამპაოლო მესამედ ჩაიბარებდა და ამის შესახებ კლუბმა განცხადებაც გააკეთა, მაგრამ... ჯამპაოლომ დაბრუნება იუარა.

აღსანიშნავია, რომ კლუბთან მისი კონტრაქტი 2010 წლამდეა და ძალა ჯერაც არ დაუკარგავს, ხოლო ჯამპაოლო მის გაბათილებას ცდილობს. „სანტ ელიას" ბინადრები ჯამპაოლომ პირველად 2006 წლის ზაფხულში ჩაიბარა, დეკემბერში დაითხოვეს, თებერვალში კი დააბრუნეს.

ცოტა ხნის წინ „კალიარის" თავქარიანმა პრეზიდენტმა მასიმო ჩელინომ იგი ისევ გადააყენა და სარდინიელები გამოცდილ ნედო სონეტის ჩაბარა, მაგრამ ამან ვერ გაამართლა — 5 მატჩში მხოლოდ ერთი ქულა და ბოლო ადგილი.

„კარგად მესმის, რომ ამ წინადადებაზე უარის თქმით საკმაოდ დიდ თანხას დავკარგავ, მაგრამ ჩემი თავმოყვარეობა და ღირსება უმთავრესია" — თქვა ჯამპაოლომ.

იტალიურ პრესაში ხუმრობდნენ, ჩელინოსგან არ არის გამორიცხული, ახლა სონეტის უთხრას, შენი მოხსნა აღარ გვინდა, დარჩიო... და ასე აგიხდეთ ყველაფერი, სონეტის გადადგომა არ დააკმაყოფილეს და მას გუნდიდან აღარ უშვებენ. ასე რომ, ქაოსი „კალიარის" გარშემო გრძელდება და სარდინიელების კრიზისიდან გამოყვანაზე ფიქრი ისევ ვეტერან სპეციალისტს მოუწევს.

**ქოქი ქანდელაკი**

| XVIII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| არსენალი | : | ტოტენჰემი |
| ასტონ ვილა | : | სიტი |
| ბოლტონი | : | ბირმინგემი |
| ფულემი | : | უიგანი |
| ლივერპული | : | პორტსმუთი |
| მიდლსბრო | : | ვესტ ჰემი |
| რედინგი | : | სანდერლენდი |
| ხვალ | | |
| ნიუკასლი | : | დერბი |
| ბლეკბერნი | : | ჩელსი |
| მანჩესტერი | : | ევერტონი |

## ინგლისი

# 156: დიდი ჩრდილოური

## ფულემს ერთი ორად უქციეს

„**ფულემის**" მწვრთნელი ლორი სანჩესი გუშინ მოხსნეს. გუნდმა მიჯრით სამი თამაში წააგო, მე-18 ადგილზე დაეშვა და სანჩესიც ამიტომ დაითხოვეს. მის ნაცვლად „ფულემს" დროებით რეი ლევინგტონი და ბილი მაკინალი ჩაიბარებენ, კლუბის შეფები კი საახალწლოდ ახალ მწვრთნელს მოძებნიან.

ლონდონური გუნდი დღეს „უიგანს" დაუხვდება, რომელსაც ქულით უსწრებს. უიგანელებს ტრავმამოშუშებული ემილ ჰესკი, ჯეისონ კუმსი და ანტუარ სიბირსკი დაუბრუნდებიან.

156-ე ჩრდილოლონდონურ დერბიში „არსენალი" „ტოტენჰემს" უმასპინძლებს. რვა წელია, „გამლებს" „მეთოფეებთან" სტუმრად არ მოუგიათ, თუმც ამ სეზონის ბოლო 11 მატჩში მხოლოდ ერთი წააგეს. ხუანდე რამოსის მისვლამ „ტოტენჰემი" აშკარად გამოასწორა. ესპანელი წლეულს „არსენალს" მეორედ ეწვევა. ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში მან „სევილია" ჩაიყვანა და 0:3 დამარცხდა.

ამასობაში კი „ლივერპულის" საქმეები აირია. რაფაელ ბენიტესის გუნდმა პრემიერლიგაში ზედიზედ ორ წაგებას ლიგის თასზე „ჩელსისთან" მარცხიც მიაყოლა. მერსისაიდელთა მეტოქე დღეს „პორტსმუთი" იქნება, რომლის თერთმეტმატჩიანი უძლეველი სვლა ერთი კვირის წინ „ტოტენჰემმა" შეწყვიტა. „ლივერპულის" ძირითად შემადგენლობაში, შესაძლოა, ხაბი ალონსო გამოჩნდეს, ვისაც ორ თვეზე მეტი გაუცდა, ხოლო პიტერ კრაუჩი დისკვალიფიცირებულია.

ბოლო 13 შეხვედრაში (ყველა ტურნირში) 11-ის მომგები „ევერტონი" კარგ ფორმაშია, მაგრამ „მანჩესტერს" ტრავმირებული ლეონ ოსმანის გარეშე ეწვევა. მასპინძლებს კი მხოლოდ გარი ნევილი ჰყავთ დაშავებული და ისიც, ალბათ, იანვარში გამოკეთდება. „ევერტონის" მწვრთნელმა დევიდ მოიესმა უეფას თასზე „ალკმაართან" მატჩში ტიმ ჰოვარდი, იაკუბუ აიეგბენი, მიკელ არტეტა, ტიმ კეჰილი და ჯოზეფ იობო დაასვენა. აღსანიშნავია, რომ მოიესის გუნდს პრემიერლიგის ბოლო სამ ტურში გოლი არ გაუშვია.

„ჩელსი" ბლექბერნში ტრავმირებულ ჯონ ტერის, ფლორენ მალუდასა და დიდიე დროგბას ვერ ჩაიყვანს. საეჭვოა, ანდრეი შევჩენკოს თამაშიც, რადგან „ლივერპულთან" სათასო შეხვედრაში ფეხი იტკინა. გამორიცხული არაა, რომ დღეს მოედანზე მიხაელ ბალაკი და რიკარდუ კარვალიუ გამოჩნდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**



პიტერ კრაუჩი დღეს მოედნისკენ ვერ გაიხედავს

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი |  | 2:2 | 1:0 | 1:0 |  |  | 3:1 |  |  |  |  |  |  |  |  | 2:0 | 3:2 | 2:1 | 2:0 | 5:0 | 17 | 12 | 4 | 1 | 34:14 | 40 | 8 | 1 | 0 | 21:6 | 25 | 4 | 3 | 1 | 13:8 | 15 |
| 2 | მანჩესტერი |  |  | 2:0 |  |  |  |  |  | 2:0 |  |  | 1:0 | 0:0 | 4:1 |  |  | 1:0 | 2:0 | 4:0 | 4:1 | 17 | 12 | 3 | 2 | 30:8 | 39 | 8 | 1 | 0 | 20:2 | 25 | 4 | 2 | 2 | 10:6 | 14 |
| 3 | ჩელსი |  |  |  | 6:0 |  | 1:1 | 1:0 |  | 0:0 |  | 1:0 |  |  |  | 3:2 |  | 2:0 | 0:0 |  |  | 17 | 10 | 4 | 3 | 24:10 | 34 | 5 | 3 | 0 | 14:3 | 18 | 5 | 1 | 3 | 10:7 | 16 |
| 4 | სიტი |  | 1:0 |  |  |  |  |  | 1:0 |  | 3:1 |  |  | 2:1 | 3:1 | 1:0 | 4:2 | 1:0 |  |  | 1:0 | 17 | 10 | 3 | 4 | 24:19 | 33 | 9 | 0 | 0 | 17:5 | 27 | 1 | 3 | 4 | 7:14 | 6 |
| 5 | ლივერპული | 1:1 | 0:1 | 1:1 |  |  |  |  |  |  |  |  | 2:2 |  |  | 0:0 | 4:0 |  | 2:0 |  | 6:0 | 16 | 8 | 6 | 2 | 27:10 | 30 | 3 | 4 | 1 | 16:5 | 13 | 5 | 2 | 1 | 11:5 | 17 |
| 6 | ევერტონი |  | 0:1 |  |  | 1:2 |  |  |  | 1:1 |  |  |  |  | 2:0 | 3:1 |  | 7:1 | 3:0 | 2:1 |  | 17 | 9 | 3 | 5 | 31:16 | 30 | 5 | 1 | 2 | 19:7 | 16 | 4 | 2 | 3 | 12:9 | 14 |
| 7 | პორტსმუთი |  | 1:1 |  | 0:0 | 0:0 | 0:0 |  |  |  |  | 0:0 | 0:1 | 7:4 |  |  | 3:1 |  |  |  |  | 17 | 8 | 6 | 3 | 28:15 | 30 | 2 | 5 | 1 | 11:7 | 11 | 6 | 1 | 2 | 17:8 | 19 |
| 8 | ასტონ ვილა | 1:2 | 1:4 | 2:0 |  | 1:2 | 2:0 | 1:3 |  |  |  | 1:0 |  |  |  |  |  |  | 2:1 |  | 2:0 | 17 | 8 | 4 | 5 | 28:20 | 28 | 5 | 0 | 4 | 13:12 | 15 | 3 | 4 | 1 | 15:8 | 13 |
| 9 | ბლეკბერნი | 1:1 |  |  | 1:0 | 0:0 |  | 0:1 | 0:4 |  | 3:1 | 0:1 |  | 4:2 |  | 2:1 |  |  |  |  |  | 17 | 7 | 5 | 5 | 23:24 | 26 | 4 | 2 | 3 | 11:11 | 14 | 3 | 3 | 2 | 12:13 | 12 |
| 15200 | ელჩე-ეხიდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15201 | ხერესი-ეიბარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15202 | ალბასეტე-კასტელონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15203 | ნუმანსია-კორდობა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15204 | სპორტინგი-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15205 | ფეროლი-სალამანკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15206 | სოსიედადი-ტენერიფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15207 | სელტა-გრანადა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15208 | ტარაგონა-კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15209 | ოსერი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15210 | კაენი-სტრასბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15211 | ლანსი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | ლორიანი-მეცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | მარსელი-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15214 | ნანსი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15215 | ნიცა-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15216 | სტ.ეტიენი-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | სოშო-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15219 | ტულუზა-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15226 | გენგამი-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15230 | სერკლი-შარლერუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15231 | გენტი-დენდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15232 | ბევერენი-მუსკრონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15233 | რუზელარე-ლოკერენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | სტ.ტრუიდენი-მეხელენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15235 | სტანდარდი-გენკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15239 | ვარეგემი-ბრიუსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15240 | ანდერლეხტი-მონსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15242 | ჰეერენვენი-ტვენტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15243 | სპარტა-ბრედა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15244 | ალკმაარი-როდა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15245 | პსვ-უტრეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15247 | ექსცელსიორი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15249 | ჰერაკლესი-გრონინგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15250 | ნაიმეგენი-ფეიენოორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15252 | ვილემ-ვიტესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15263 | ლეიშოში-სეტუბალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15266 | ნავალი-აკადემიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15267 | ბრაგა-ბოავიშტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15269 | ლეირია-მარიტიმუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15272 | გიმარაეში-ბელენენსეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15290 | რიზე-დენიზლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15291 | ფენერბაჩე-ტრაბზონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15293 | ოსმანსპორი-გალატასარაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15295 | ისტანბული-გაზიანტეპი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15296 | კონია-კასიმპაშა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15297 | ანკარაგუჯუ-კაისერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15298 | სივასსპორი-გენჩლერბირლიგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15301 | ბურსა-ანკარა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრის გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16050 | ნიუკასლი-დერბი | 1.10 | 5.50 |
| 16051 | რედინგი-სანდერლენდი | 1.32 | 3.00 |
| 16052 | არსენალი-ტოტენჰემი | 1.12 | 4.60 |
| 16054 | ასტონ ვილა-სიტი | 1.38 | 2.65 |
| 16055 | ბლეკბერნი-ჩელსი | 2.90 | 1.32 |
| 16057 | ბოლტონი-ბირმინგემი | 1.32 | 3.00 |
| 16058 | ფულჰემი-უიგანი | 1.45 | 2.45 |
| 16059 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.12 | 4.60 |
| 16060 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.10 | 5.50 |
| 16062 | მიდლსბრო-ვესტ ჰემი | 1.55 | 2.20 |
| 16063 | უენზდეი-უოტფორდი | 1.82 | 1.82 |
| 16064 | საუთჰემპტონი-პრესტონი | 1.24 | 3.60 |
| 16065 | სტოუკ-ვესტ ბრომვიჩი | 1.75 | 1.85 |
| 16066 | ბლეკპული-ქოვენტრი | 1.62 | 2.05 |
| 16067 | ვულვერჰემპტონი-ლესტერი | 1.24 | 3.60 |
| 16068 | ბრისტოლი-ბერნლი | 1.25 | 3.40 |
| 16069 | კარდიფი-შეფილდი | 1.65 | 2.05 |
| 16070 | ჩარლტონი-ჰალი | 1.24 | 3.60 |
| 16071 | კრისტალ პალასი-პლიმუთი | 1.52 | 2.20 |
| 16072 | იფსვიჩი-ბარნსლი | 1.38 | 2.65 |
| 16073 | ქპრ-კოლჩესტერი | 1.45 | 2.45 |
| 16074 | სკანთორპი-ნორვიჩი | 1.58 | 2.10 |
| 16099 | აბერდინი-რეინჯერსი | 3.60 | 1.24 |
| 16103 | დანდი იუნაიტედი-გრეტნა | 1.11 | 5.70 |
| 16104 | ჰარტსი-ინვერნესი | 1.23 | 3.60 |
| 16105 | მაზერველი-ფოლკერკი | 1.22 | 3.40 |
| 16106 | სტ.მირენი-კილმარნოკი | 1.70 | 1.95 |
| 16145 | ჯენოა-პარმა | 1.40 | 2.55 |
| 16146 | ინტერი-მილანი | 1.52 | 2.20 |
| 16149 | ლივორნო-ატალანტა | 1.65 | 2.05 |
| 16150 | ნაპოლი-ტორინო | 1.34 | 2.80 |
| 16151 | პალერმო-ლაციო | 1.32 | 3.00 |
| 16152 | რეჯინა-კატანია | 1.55 | 2.20 |
| 16154 | რომა-სამპდორია | 1.11 | 5.70 |
| 16156 | უდინეზე-ემპოლი | 1.14 | 4.70 |
| 16158 | მესინა-ბოლონია | 2.05 | 1.65 |
| 16159 | მოდენა-ფროზინონე | 1.40 | 2.55 |
| 16160 | პიზა-რავენა | 1.11 | 5.70 |
| 16161 | ტრიესტინა-აველინო | 1.38 | 2.65 |
| 16162 | ვიჩენცა-კიევო | 2.45 | 1.40 |
| 16163 | ბრეშა-რიმინი | 1.40 | 2.55 |
| 16164 | ალბინოლეფე-ასკოლი | 1.30 | 3.00 |
| 16165 | ბარი-ლეჩე | 1.95 | 1.65 |
| 16166 | ჩეზენა-ტრევიზო | 1.55 | 2.20 |
| 16167 | გროსეტო-პიაჩენცა | 1.55 | 2.20 |
| 16168 | მანტოვა-სპეცია | 1.17 | 4.10 |
| 16187 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 1.45 | 2.45 |
| 16188 | ალმერია-ხეტაფე | 1.65 | 2.05 |
| 16189 | ვილიარეალი-უელვა | 1.14 | 4.70 |
| 16191 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.38 | 2.65 |
| 16192 | ლევანტე-დეპორტივო | 1.95 | 1.65 |
| 16193 | სარაგოსა-ვალენსია | 1.55 | 2.20 |
| 16194 | ბარსელონა-რეალი | 1.40 | 2.55 |
| 16195 | ოსასუნა-მალიორკა | 1.52 | 2.20 |
| 16196 | ბილბაო-მურსია | 1.34 | 2.80 |
| 16197 | სევილია-რასინგი | 1.22 | 3.40 |
| 16198 | მალაგა -სევილია ბ | 1.34 | 2.80 |
| 16199 | ლას პალმასი-ჰერკულესი | 1.95 | 1.65 |
| 16200 | ელჩე-ეხიდო | 1.24 | 3.60 |
| 16201 | ხერესი-ეიბარი | 1.58 | 2.10 |
| 16202 | ალბასეტე-კასტელონი | 1.62 | 2.05 |
| 16203 | ნუმანსია-კორდობა | 1.24 | 3.60 |
| 16204 | სპორტინგი-ალავესი | 1.34 | 2.80 |
| 16205 | ფეროლი-სალამანკა | 1.58 | 2.10 |
| 16206 | სოსიედადი-ტენერიფე | 1.45 | 2.45 |
| 16207 | სელტა-გრანადა | 1.32 | 3.00 |
| 16208 | ტარაგონა-კადისი | 1.52 | 2.20 |
| 16209 | ოსერი-მონაკო | 1.65 | 2.05 |
| 16210 | კაენი-სტრასბურგი | 1.40 | 2.55 |
| 16211 | ლანსი-ლილი | 1.52 | 2.20 |
| 16212 | ლორიანი-მეცი | 1.17 | 4.10 |
| 16213 | მარსელი-ლე მანი | 1.30 | 3.00 |
| 16214 | ნანსი-ლიონი | 2.30 | 1.45 |
| 16215 | ნიცა-ვალენსიენი | 1.40 | 2.55 |
| 16216 | სტ.ეტიენი-პსჟ | 1.50 | 2.30 |
| 16217 | სოშო-ბორდო | 1.80 | 1.80 |
| 16219 | ტულუზა-რენი | 1.52 | 2.20 |
| 16226 | გენგამი-ნანტი | 2.40 | 1.45 |
| 16230 | სერკლი-შარლერუა | 1.23 | 3.60 |
| 16231 | გენტი-დენდერი | 1.11 | 5.70 |
| 16232 | ბევერენი-მუსკრონი | 1.23 | 3.60 |
| 16233 | რუზელარე-ლოკერენი | 1.55 | 2.20 |
| 16234 | სტ.ტრუიდენი-მეხელენი | 1.45 | 2.45 |
| 16235 | სტანდარდი-გენკი | 1.23 | 3.60 |
| 16239 | ვარეგემი-ბრიუსელი | 1.23 | 3.60 |
| 16240 | ანდერლეხტი-მონსი | 1.02 | 6.70 |
| 16242 | ჰეერენვენი-ტვენტე | 1.50 | 2.30 |
| 16243 | სპარტა-ბრედა | 2.05 | 1.65 |
| 16244 | ალკმაარი-როდა | 1.22 | 3.40 |
| 16245 | პსვ-უტრეხტი | 1.08 | 5.00 |
| 16247 | ექსცელსიორი-აიაქსი | 5.70 | 1.11 |
| 16249 | ჰერაკლესი-გრონინგენი | 2.30 | 1.45 |
| 16250 | ნაიმეგენი-ფეიენოორდი | 2.45 | 1.40 |
| 16252 | ვილემ-ვიტესი | 2.05 | 1.65 |
| 16263 | ლეიშოში-სეტუბალი | 1.70 | 1.95 |
| 16266 | ნავალი-აკადემიკა | 1.40 | 2.55 |
| 16267 | ბრაგა-ბოავიშტა | 1.23 | 3.60 |
| 16269 | ლეირია-მარიტიმუ | 1.65 | 2.05 |
| 16272 | გიმარაეში-ბელენენსეში | 1.34 | 2.80 |
| 16290 | რიზე-დენიზლი | 1.58 | 2.10 |
| 16291 | ფენერბაჩე-ტრაბზონი | 1.12 | 4.60 |
| 16293 | ოსმანსპორი-გალატასარაი | 3.30 | 1.25 |
| 16295 | ისტანბული-გაზიანტეპი | 1.32 | 3.00 |
| 16296 | კონია-კასიმპაშა | 1.14 | 4.70 |
| 16297 | ანკარაგუჯუ-კაისერი | 1.52 | 2.20 |
| 16298 | სივასსპორი-გენჩლერბირლიგი | 1.22 | 3.40 |
| 16301 | ბურსა-ანკარა | 1.32 | 3.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14050 | ნიუკასლი-დერბი | 1.20 | 2.60 |
| 14051 | რედინგი-სანდერლენდი | 1.65 | 2.20 |
| 14052 | არსენალი-ტოტენჰემი | 1.20 | 2.60 |
| 14054 | ასტონ ვილა-სიტი | 1.70 | 2.20 |
| 14055 | ბლეკბერნი-ჩელსი | 1.20 | [illegible] |
| 14057 | ბოლტონი-ბირმინგემი | 1.65 | 2.30 |
| 14058 | ფულჰემი-უიგანი | 1.75 | 2.10 |
| 14059 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.30 | 2.50 |
| 14060 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.20 | 2.60 |
| 14062 | მიდლსბრო-ვესტ ჰემი | 1.80 | 2.00 |
| 14063 | უენზდეი-უოტფორდი | 1.95 | 1.85 |
| 14064 | საუთჰემპტონი-პრესტონი | 1.45 | 2.40 |
| 14065 | სტოუკ-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 14066 | ბლეკპული-ქოვენტრი | 1.80 | 2.00 |
| 14067 | ვულვერჰემპტონი-ლესტერი | 1.45 | 2.40 |
| 14068 | ბრისტოლი-ბერნლი | 1.45 | 2.40 |
| 14069 | კარდიფი-შეფილდი | 1.80 | 2.00 |
| 14070 | ჩარლტონი-ჰალი | 1.45 | 2.40 |
| 14071 | კრისტალ პალასი-პლიმუთი | 1.75 | 2.10 |
| 14072 | იფსვიჩი-ბარნსლი | 1.70 | 2.20 |
| 14073 | ქპრ-კოლჩესტერი | 1.75 | 2.10 |
| 14074 | სკანთორპი-ნორვიჩი | 1.80 | 2.00 |
| 14099 | აბერდინი-რეინჯერსი | 2.50 | 1.30 |
| 14103 | დანდი იუნაიტედი-გრეტნა | 1.20 | 2.60 |
| 14104 | ჰარტსი-ინვერნესი | 1.45 | 2.40 |
| 14105 | მაზერველი-ფოლკერკი | 1.30 | 2.50 |
| 14106 | სტ.მირენი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 14145 | ჯენოა-პარმა | 1.70 | 2.20 |
| 14146 | ინტერი-მილანი | 1.75 | 2.10 |
| 14149 | ლივორნო-ატალანტა | 1.80 | 2.00 |
| 14150 | ნაპოლი-ტორინო | 1.70 | 2.20 |
| 14151 | პალერმო-ლაციო | 1.65 | 2.30 |
| 14152 | რეჯინა-კატანია | 1.80 | 2.00 |
| 14154 | რომა-სამპდორია | 1.20 | 2.60 |
| 14156 | უდინეზე-ემპოლი | 1.30 | 2.50 |
| 14158 | მესინა-ბოლონია | 1.95 | 1.85 |
| 14159 | მოდენა-ფროზინონე | 1.70 | 2.20 |
| 14160 | პიზა-რავენა | 1.20 | 2.60 |
| 14161 | ტრიესტინა-აველინო | 1.70 | 2.20 |
| 14162 | ვიჩენცა-კიევო | 2.10 | 1.75 |
| 14163 | ბრეშა-რიმინი | 1.70 | 2.20 |
| 14164 | ალბინოლეფე-ასკოლი | 1.65 | 2.30 |
| 14165 | ბარი-ლეჩე | 1.90 | 1.90 |
| 14166 | ჩეზენა-ტრევიზო | 1.80 | 2.00 |
| 14167 | გროსეტო-პიაჩენცა | 1.80 | 2.00 |
| 14168 | მანტოვა-სპეცია | 1.30 | 2.50 |
| 14187 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 1.75 | 2.10 |
| 14188 | ალმერია-ხეტაფე | 1.80 | 2.00 |
| 14189 | ვილიარეალი-უელვა | 1.30 | 2.50 |
| 14191 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.70 | 2.20 |
| 14192 | ლევანტე-დეპორტივო | 1.95 | 1.85 |
| 14193 | სარაგოსა-ვალენსია | 1.80 | 2.00 |
| 14194 | ბარსელონა-რეალი | 1.70 | 2.20 |
| 14195 | ოსასუნა-მალიორკა | 1.75 | 2.10 |
| 14196 | ბილბაო-მურსია | 1.70 | 2.20 |
| 14197 | სევილია-რასინგი | 1.30 | 2.50 |
| 14198 | მალაგა -სევილია ბ | 1.70 | 2.20 |
| 14199 | ლას პალმასი-ჰერკულესი | 1.95 | 1.85 |
| 14200 | ელჩე-ეხიდო | 1.45 | 2.40 |
| 14201 | ხერესი-ეიბარი | 1.80 | 2.00 |
| 14202 | ალბასეტე-კასტელონი | 1.80 | 2.00 |
| 14203 | ნუმანსია-კორდობა | 1.45 | 2.40 |
| 14204 | სპორტინგი-ალავესი | 1.70 | 2.20 |
| 14205 | ფეროლი-სალამანკა | 1.80 | 2.00 |
| 14206 | სოსიედადი-ტენერიფე | 1.75 | 2.10 |
| 14207 | სელტა-გრანადა | 1.65 | 2.30 |
| 14208 | ტარაგონა-კადისი | 1.75 | 2.10 |
| 14209 | ოსერი-მონაკო | 1.80 | 2.00 |
| 14210 | კაენი-სტრასბურგი | 1.70 | 2.20 |
| 14211 | ლანსი-ლილი | 1.75 | 2.10 |
| 14212 | ლორიანი-მეცი | 1.30 | 2.50 |
| 14213 | მარსელი-ლე მანი | 1.65 | 2.30 |
| 14214 | ნანსი-ლიონი | 2.10 | 1.75 |
| 14215 | ნიცა-ვალენსიენი | 1.70 | 2.20 |
| 14216 | სტ.ეტიენი-პსჟ | 1.75 | 2.10 |
| 14217 | სოშო-ბორდო | 1.90 | 1.90 |
| 14219 | ტულუზა-რენი | 1.75 | 2.10 |
| 14226 | გენგამი-ნანტი | 2.10 | 1.75 |
| 14230 | სერკლი-შარლერუა | 1.45 | 2.40 |
| 14231 | გენტი-დენდერი | 1.20 | 2.60 |
| 14232 | ბევერენი-მუსკრონი | 1.45 | 2.40 |
| 14233 | რუზელარე-ლოკერენი | 1.80 | 2.00 |
| 14234 | სტ.ტრუიდენი-მეხელენი | 1.75 | 2.10 |
| 14235 | სტანდარდი-გენკი | 1.45 | 2.40 |
| 14239 | ვარეგემი-ბრიუსელი | 1.45 | 2.40 |
| 14240 | ანდერლეხტი-მონსი | 1.08 | 2.90 |
| 14242 | ჰეერენვენი-ტვენტე | 1.75 | 2.10 |
| 14243 | სპარტა-ბრედა | 2.00 | 1.80 |
| 14244 | ალკმაარი-როდა | 1.30 | 2.50 |
| 14245 | პსვ-უტრეხტი | 1.20 | 2.60 |
| 14247 | ექსცელსიორი-აიაქსი | 2.90 | 1.08 |
| 14249 | ჰერაკლესი-გრონინგენი | 2.20 | 1.70 |
| 14250 | ნაიმეგენი-ფეიენოორდი | 2.30 | 1.6[illegible] |
| 14252 | ვილემ-ვიტესი | 2.00 | 1.80 |
| 14263 | ლეიშოში-სეტუბალი | 1.85 | 1.95 |
| 14266 | ნავალი-აკადემიკა | 1.70 | 2.20 |
| 14267 | ბრაგა-ბოავიშტა | 1.45 | 2.40 |
| 14269 | ლეირია-მარიტიმუ | 1.80 | 2.00 |
| 14272 | გიმარაეში-ბელენენსეში | 1.70 | 2.20 |
| 14290 | რიზე-დენიზლი | 1.80 | 2.00 |
| 14291 | ფენერბაჩე-ტრაბზონი | 1.20 | 2.60 |
| 14293 | ოსმანსპორი-გალატასარაი | 2.40 | 1.45 |
| 14295 | ისტანბული-გაზიანტეპი | 1.65 | 2.30 |
| 14296 | კონია-კასიმპაშა | 1.30 | 2.50 |
| 14297 | ანკარაგუჯუ-კაისერი | 1.75 | 2.10 |
| 14298 | სივასსპორი-გენჩლერბირლიგი | 1.30 | 2.50 |
| 14301 | ბურსა-ანკარა | 1.65 | 2.30 |

# საქართველოს ჩემპიონატი

21 დეკემბერი. რუსთავი

**ენერჯი-ინვესტი 84:65 ავიამშენი**

*17:18 23:19 20:17 24:11*

ენერჯი-ინვესტი: გამყრელიძე (36), ბოისა (9), ლეჟავა (7), სტეფანოვი (12), ბაბიაშვილი (6); ტუჯანი (8), ჭოჭუა (4), გოგობერიშვილი (2), დიდია
ავიამშენი: ტულუში (5), ნიკოლაძე (17), შანიძე (9), მინაშვილი, იმნაძე (6); ხოშტარია (15), როდუმტა (4), ნინიაშვილი (7), კვიმსაძე (2)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა; კომისარი: როლანდ გელოვანი

# ვაშა ლაშას! მოგება რუსთავს



**ირაკლი პერტაია** *რუსთავიდან*

როცა ლაპარაკობენ, სუპერლიგის გუნდებს შორის დონე გათანაბრდაო, რა თქმა უნდა, ამ თანაბრობაში რუსთავის „ენერჯი-ინვესტს" არ გულისხმობენ. რამდენად ტოლძალოვანნი არიან ჩვენი ჩემპიონატის გუნდები, იმდენად ალემატება მათ მოქმედი ჩემპიონი. დროის გასვლასთან ერთად ქვემოქართლული გუნდი ეშხში შედის. „ენერჯი-ინვესტი" დანარჩენებს კლასში გვარიანად გაურბის და მით უფრო ფესვს იდგავს აზრი, რომ რუსთაველების დამარცხებული გუნდი საქართველოში ამ ეტაპზე არ არსებობს.

წინა ტურში „ვითას" ძლევით შეგულიანებული „ავიამშენი" დიდ გულზე ჩავიდა რუსთავში და იქაურებს ბრძოლაც გაუმართა, მაგრამ რუსთაველებს სულ რალაც 3 წუთი ეყოთ საიმისოდ, რომ თბილისელების ბოლო მეოთხედამდე რის ვაივაგლახით მიტანილი იმედის ნაპერწკალი ერთი ამოსუნთქვით ჩაექროთ.

ერთ საინტერესო მომენტს გამოვარჩევთ, რაც სრულიად ნათელს გახდის რუსთაველთა წარმატების მიზეზს. მოგეხსენებათ, ნებისმიერი გუნდის კეთილდღეობა მეტწილად გამთამაშებელზეა დამოკიდებული. რაც უფრო მარიფათიანი, სწრაფი, მოხერხებული და მახვილგონიერია უკანახაზელი, მით დიდია მისი გუნდის შანსი. და რა მოხდა ამ კონკრეტულ მატჩში? რუსთაველთა გამთამაშებელმა ლაშა გამყრელიძემ 10-დან 7 სამიანი ჩააგდო, რასაც სხვა ღირებულების სროლებიც მიამატა და ჯამში 36 ქულა დააგროვა. მის „ავიატორ" ოპონენტ კოტე ტულუშს კი მხოლოდ 5 ქულა დაუგროვდა, თუმცა თამაშიდან სროლათა შეფარდება მისთვის შეუფერებელი ჰქონდა: 16 ცდიდან ერთადერთხელ უწია მიზანს.

ასეთ დროს ყველაფერი ცხადია. უკანა ხაზში გარღვევა მთლიანად თამაშში გარღვევას ნიშნავს, თუმც თბილისელები ბოლო მეოთხედამდე თავს განწირულად მაინც არ თვლიდნენ. ის კი არა, მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე „ავიამშენი" დაწინაურდა კიდეც, რაც ძირითადად ფარქვეშა წარმატებებით იყო გამოწვეული.

თორნიკე ნინიაშვილს სამწამიანში ხელს ლუკა შანიძე აშველებდა, დროდადრო ირაკლი ხოშტარიაც სოლო-რეიდებს ახორციელებდა და ნიადაგ რუსთაველების კუდზე მსხდომმა „ავიატორებმა" დაწინაურებაც მოახერხეს — 62:61. ეს იყო და, გამყრელიძე აფეთქდა. მან ბოლო 5 წუთში ყველაფერი აკეთა: პასები არიგა, მეტოქეს ბურთი აართვა და ქულები ხომ იხვეჭა და იხვეჭა. თბილისელებს ერთიანად აერიათ დავთრები. ლევან მოსეშვილის გუნდმა, რომ იტყვიან, ხელი ველარ გაანძრია და რუსთაველების ალმაფრენას "ავიატორები" სტატისტის როლში შეხვდნენ. "ენერჯი-ინვესტმა" ბოლო წუთები 23:3 მოიგო და საბოლოოდ დიდი სხვაობით იმარჯვა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ენერჯი-ინვესტი | 9 | 9 | 0 | 18 |
| ვითა | 8 | 4 | 4 | 12 |
| თსუ | 8 | 4 | 4 | 12 |
| ავიამშენი | 9 | 3 | 6 | 12 |
| დინამო | 8 | 3 | 5 | 11 |
| მაკაბი | 8 | 2 | 6 | 10 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

20 დეკემბერი

**კლივლენდი 94:90 ლეიკერსი**

კლივლენდი: ჯეიმსი (33 ქულა, 10 მოხსნა), გიბსონი (15), ილგაუსკასი (12), ვარეჟაო (11 ქულა, 12 მოხსნა, 4 ჩაჭრა)
ლეიკერსი: ბრაიანტი (21), ოდომი (19 ქულა, 11 მოხსნა), ფიშერი (18), ბინამი (17 ქულა, 11 მოხსნა)

**მაიამი 103:107 ნიუ ჯერსი**

პირველ ოვერტაიმში (ძრ. დრო 94:94)
მაიამი: უეიდი (41), პასლემი (18 ქულა, 12 მოხსნა), რაიტი (13), ონილი (12 ქულა, 7 მოხსნა)
ნიუ ჯერსი: კარტერი (31 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი), ჯეფერსონი (29), ალენი (18), კიდი (5 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი)

**დენვერი 112:111 ჰიუსტონი**

მეორე ოვერტაიმში (ძრ. დრო 94:94)
დენვერი: ენტონი (37 ქულა, 16 მოხსნა), აივერსონი (36 ქულა, 9 პასი), კემბი (2 ქულა, 18 მოხსნა, 6 დაფარება)
ჰიუსტონი: მინი (26 ქულა, 19 მოხსნა), ჰედი (22), ალსტონი (18 ქულა, 10 პასი), ველსი (17)

# ევროლიგა 2007-08

Euroleague

## I ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 19-20 დეკემბერი

### A ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი 113:80 ოლიმპია**
ოლიმპიაკოსი: ვასილიადისი (21), პრინზისი (21)
ოლიმპია: ბეილი (20), პუკიჩი (18)

**ვირტუსი 69:85 ტაუ**
ვირტუსი: მაკგრატი (18), ანდერსონი (14)
ტაუ: სპლიტერი (25), ტელეტოვიჩი (18)

**პროკომი 80:85 ჟალგირისი**
პროკომი: სლანინა (19), გუროვიჩი (17)
ჟალგირისი: პოპოვიჩი (19), ბრაუნი (16)

**სიენა 66:69 ცსკა**
სიენა: მაკანტირი (13), ტორნტონი (9)
ცსკა: შიშკაუსკასი (18), ანდერსენი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 9 | 8 | 1 | 108 | 17 |
| ტაუ | 9 | 6 | 3 | 82 | 15 |
| სიენა | 9 | 6 | 3 | 75 | 15 |
| ოლიმპიაკოსი | 9 | 5 | 4 | 95 | 14 |
| ჟალგირისი | 9 | 5 | 4 | 2 | 14 |
| ოლიმპია | 9 | 3 | 6 | -80 | 12 |
| ვირტუსი | 9 | 2 | 7 | -124 | 11 |
| პროკომი | 9 | 1 | 8 | -158 | 10 |

### B ჯგუფი

**არმანი 73:76 ეფესი**
არმანი: ვუკჩევიჩი (16), უატსონი (13)
ეფესი: გრეგორი (20), პენი (15)

**არისი 93:74 ლე მანი**
არისი: რაიტი (27), ტერი (21)
ლე მანი: კლენსი (18), რიჩი (14)

**ციბონა 62:76 უნიკახა**
ციბონა: უორენი (14), ჰოსკინი (14)
უნიკახა: ველში (15), პაისლიპი (15)

**მაკაბი 82:87 ლიეტუვოს რიტასი**
მაკაბი: ფიზერი (15), ბლუზენტალი (14)
რიტასი: ეიდსონი (28), პრაისი (19)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნიკახა | 9 | 7 | 2 | 96 | 16 |
| რიტასი | 9 | 7 | 2 | 81 | 16 |
| ეფესი | 9 | 6 | 3 | 48 | 15 |
| მაკაბი | 9 | 6 | 3 | -7 | 15 |
| არისი | 9 | 5 | 4 | -14 | 14 |
| ციბონა | 9 | 3 | 6 | -85 | 12 |
| არმანი | 9 | 2 | 7 | -37 | 11 |
| ლე მანი | 9 | 0 | 9 | -79 | 9 |

### C ჯგუფი

**ბამბერგი 58:72 პანათინაიკოსი**
ბამბერგი: გარეტი (17), ოკულაია (10)
პანათინაიკოსი: იასიკევიჩუსი (21), სპანულისი (8)

**რომა 69:64 რეალი**
რომა: ლორბეკი (17), გაბინი (17)
რეალი: ბალოკი (11), თუნჩერი (10)

**პარტიზანი 82:76 როანი**
პარტიზანი: პეკოვიჩი (26), ტეპიჩი (18)
როანი: რაში (15), პესი (14)

**ფენერბაჰჩე 78:85 ბარსელონა**
ფენერბაჰჩე: თურქჯანი (18), ვაიტი (17)
ბარსელონა: ლაკოვიჩი (22), გრიმაუ (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 9 | 8 | 1 | 81 | 17 |
| ბარსელონა | 9 | 7 | 2 | 83 | 16 |
| რეალი | 9 | 6 | 3 | 53 | 15 |
| ფენერბაჰჩე | 9 | 4 | 5 | -27 | 13 |
| პარტიზანი | 9 | 4 | 5 | -46 | 13 |
| რომა | 9 | 3 | 6 | -11 | 12 |
| როანი | 9 | 3 | 6 | -66 | 12 |
| ბამბერგი | 9 | 1 | 8 | -67 | 10 |



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნელსინიო გვარზე ხტის

## უმცროსი პიკე ახალ „პიკეს" ქმნის

Formula 1

ბრაზილიელ სამგზის მსოფლიოს ჩემპიონ ნელსონ პიკეს 22 წლის ვაჟიშვილი ნელსინიო „სამეფო რბოლებში" სახელოვანი მამის გზას გააგრძელებს. ბუნებრივია, სადღეისოდ არავინ უწყის, რამდენად წარმატებული აღმოჩნდება პატარა პიკეს ეს ტრასა. ამ დღეებში ნელსონ პიკე-უმცროსი თვით ბრაზილიის პრეზიდენტმა ლულა და სილვამ მიიღო და წარმატებებიც უსურვა

— რა იგრძენით, როცა გაიგეთ, რომ 2008 წელს „რენოს" ძირითადი მანქანის საჭეს მიუჯდებოდით?

— სიტყვებით ამის გადმოცემა ძნელია. ბევრი არ ფიქრობს იმაზე, რომ ყოველ ახალგაზრდა მრბოლს წლების განმავლობაში დაძაბული მუშაობა უწევს, რისი მთავარი მიზანიც ფორმულა 1-ის გუნდთან კონტრაქტია. რაც თავი მახსოვს, მუდამ ამაზე ვოცნებობდი, ახლა კონტრაქტი ხელმოწერილია და უკვე სხვა გამოწვევა მელის, კარიერის ახალი ეტაპი და ახალი სეზონი.

— კონტრაქტის გაფორმებაში მამა დაგეხმარათ?

— დიდი უსამართლობა იქნებოდა იმათ მიმართ, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში მხარს მიჭერდნენ, ვთქვა, რომ ჩემი წარმატება მხოლოდ მამაჩემის სახელის შედეგია. მამა ჩემთვის იყო და მუდამ იქნება მთავარი ორიენტირი, თანაც კარიერის დასაწყისში მის თანადგომას გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდა. ფორმულა 1-ში რომ მოხვდე, ცნობილ გვარზე ბევრად მეტია საჭირო. „რენომ" შანსი მომცა, რადგან, ეტყობა, ნიჭიერება და პოტენციალი შემატყვეს. გუნდმა ტესტებისას შედეგები და მანქანასთან ჩემი მუშაობა გაითვალისწინა, მხოლოდ ამას აქვს მნიშვნელობა კონტრაქტის ხელმოწერისას.

— მამათქვენი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია, ასე რომ, შედარებისას ამას ვერ გაექცევით.

— პასუხისმგებლობას და წნეხს თავიდანვე ვგრძნობდი, როცა საჭეს პირველად მივუჯექი. მე ნელსონ პიკეს — ლეგენდარული მრბოლის — შვილი ვარ და ვამაყობ ამით, ისევე როგორც ბევრი გულშემატკივარი. მაგრამ თუ დღეს მე ფორმულა 1-ში ვარ, მხოლოდ დაძაბული შრომის, მოტივაციის და ამ ჩემპიონატში წარმატების მოპოვების სურვილით. იმედი მაქვს, ჩემითაც იამაყებენ.

— „რენოს" შემადგენლობაში დებიუტი შთაბეჭდილების მოხდენის არცთუ ურიგო შანსს გაძლევთ.

— საუკეთესო შანსს! „ING რენო" ტოპგუნდია. ამ საჯინიბომ ორი ჩემპიონატი მოიგო და ახლაც გამარჯვებისთვის იბრძოლებს. საიადარიგო პილოტის სტატუსში ერთი სეზონის შემდეგ გუნდს შევეწყვეიცი მისი მუშაობის მეთოდები და ვთვლი, რომ ეს მართლაც საუკეთესო ვარიანტია ფორმულა 1-ში დებიუტისთვის. მინდა, გუნდის ნდობა გავამართლო და ყველაფერს ვიღონებ წარმატების მისაღწევად.



# რეგულარული ჩემპიონატი

20 დეკემბერი

**ვაშინგტონი 2:5 მონრეალი**
*0:1 1:2 1:2*
0:1 ლატანდრესი (19), 0:2 პლეკანეცი (27), 1:2 ბექსტრომი (30), 1:3 ლატანდრესი (38), 1:4 კოსტიცინი (50), 2:4 სიომინი (51), 2:5 შტრაიტი (59)

**ბოსტონი 4:5 პიტსბურგი**
*0:3 2:1 2:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 მალკინი (1), 0:2 კროსბი (9), 0:3 მალკინი (12), 0:4 კრისტენსენი (32), 1:4 შტურმი (37), 2:4 აქსელსონი (38), 3:4 ნოკელაინენი (54), 4:4 ვაიდმენი (58)

**ატლანტა 3:2 ოტავა**
*0:1 2:1 1:0*
0:1 სპეცა (6), 1:1 ბულტონი (28), 1:2 ალფრედსონი (37), 2:2 კოვალჩუკი (38), 3:2 უაიტი (41)

**ფლორიდა 5:4 კაროლინა**
*1:3 2:0 2:1*
1:0 დვორჟაკი (6), 1:1 ლედი (7), 1:2 კოული (10), 1:3 სტილმანი (17), 2:3 იოკინენი (26), 3:3 შტუმპელი (39), 4:3 უაიზი (45), 4:4 უიტნი (45), 5:4 მაკლინი (54)

**ტამპა 2:1 ტორონტო**
*0:0 1:1 1:0*
0:1 სტეიჯანი (37), 1:1 უარდი (39), 2:1 ლეკავალიე (60)

**მინესოტა 6:3 რეინჯერსი**
*1:1 3:1 2:1*
0:1 როზივალი (11), 1:1 გაბორიკი (14), 2:1 გაბორიკი (4), 3:1 გაბორიკი (26), 3:2 სტრაკა (27), 4:2 ბუშარი (31), 4:3 დრური (48), 5:3 გაბორიკი (48), 6:3 გაბორიკი (50)

**სენტ ლუისი 3:2 დეტროიტი**
*1:0 0:2 2:0*
1:0 ბოიქსი (8), 1:1 ფილპულა (31), 1:2 სამუელსონი (32), 2:2 ტკაჩუკი (45), 3:2 სტემპნიაკი (55)

**ვანკუვერი 3:2 დალასი**
*0:0 1:0 2:2*
1:0 რეიმონდი (28), 2:0 დ. სედინი (44), 2:1 იოკინენი (47), 3:1 დ. სედინი (50), 3:2 მიეტინენი (53)

**სან ხოსე 2:3 ფინიქსი**
*0:0 0:0 2:2 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 იორკი (41), 1:1 მიტჩელი (43), 2:1 რუნიკი (48), 2:2 დოუნი (60)

# პეკინის საგზურები პეკინშივე თამაშდება

ნლის ბოლოა და უკვე შეიძლება განვლილი სეზონის შეფასება. ორმაგად საინტერესო კი სპორტის ის სახეობები გახლავთ, როლებშიც ოლიმპიური ლიცენზიებისთვის ბრძოლა შეგვეძლო და ისინიც, რომელშიც კიდევ შეგვიძლია. ახალი 2008 ნელი ხომ ოლიმპიურია და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ჩვენთან ზოგიერთი სპორტსმენისთვის პეკინის მატარებელმა დიდი ხანია ჩაიარა, თუმც საბედნიეროდ ისეთებიც არიან, რომელთაც მსოფლიოს უდიდეს სპორტულ ფორუმზე საკუთარი და ქვეყნის ნარმოჩენა ჯერ კიდევ ძალუძთ. ასეთთა შორის, უნიჭიერესი ნყალში მხტომელები ქოლა ჭანტურია და გეორქ გეორქიანიც მოიაზრებიან. საერთოდ, ნყალში მხტომელთათვის განვლილი ნელი საინტერესო და საკმაოდ ნარმატებული გამოვიდა. მათ მსოფლიო რეიტინგში მე-17 ადგილი ირგუნეს და საერთაშორისო ფედერაციისგანაც მონონება დაიმსახურეს. სანყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ირაკლი ბართაიამ** განვლილი ნელი შეაფასა და სამომავლო გეგმებზეც მოგვითხრო.



— მარტში ავსტრალიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭოლა ჭანტურიამ და გეორქ გეორქიანმა სინქრონულ წყვილში მე-16 ადგილი დაიკავეს. ვერ ვიტყვი, რომ ინდივიდუალურ გამოსვლაში კარგი შედეგი გვქონდა. მელბურნში სპეციალურად დამუშავებული პროგრამით წარვდექით, რომელსაც დიდი ხანი ვამზადებდით. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ბიჭებისთვის დიდების მსოფლიო პირველობა სადებიუტო იყო და მასში ძალიან ბევრი ქვეყანა მონაწილეობდა, შედეგი ნორმალურად შეფასდა. გეტყვით, რომ მწვანე კონტინენტზე გამგზავრების ხარჯების დიდი ნაწილი, თითქმის 22 ათასი ლარი საერთაშორისო ფედერაციამ გამოგვიყო, რაც მნიშვნელოვნად დაგვეხმარა. იქ საუკეთესო თორმეტეულმა პეკინის ლიცენზია ავტომატურად მიიღო. დარჩა 22 საგზური, რომელიც მომავალ წელს გათამაშდება.

**— 2008 წელს სულ რამდენი სალიცენზიო ტურნირი ჩატარდება და თქვენ რას აპირებთ?**

— დარჩენილი 22 ლიცენზიიდან 18 მსოფლიოს თასზე გადანაწილდება, რომელიც 19-25 თებერვალს გაიმართება ჩინეთში, 4 კი რეიტინგის მიხედვით გაიცემა. უნდა ითქვას, რომ ათენის ოლიმპიადის მერე ლიცენზიის მოპოვების წესები საგრძნობლად გართულდა. ევროპის ჩემპიონატის მოგების შემთხვევაშიც კი, ჩინეთში ვერ გაემგზავრები, ამისთვის მხოლოდ მსოფლიოს ეგიდით გამართულ ტურნირებში მოპოვებული წარმატებაა საჭირო. ჩვენ სპეციალური სამოქმედო გეგმა გვაქვს შემუშავებული და ამის მიხედვით ვმუშაობთ. რამდენიმე გრან პრიზე გამოსვლას ვაპირებთ — ესპანეთში, რუსეთში, იტალიაში, საბერძნეთში, გერმანიაში. მართალია, ეს ტურნირები ლიცენზიას ვერ იძლევა, მაგრამ მსოფლიოს თასზე გამოსვლის წინ პროგრამის დახვეწაში დაგვეხმარება და თან გარკვეულ სარეიტინგო ქულების მოპოვების საშუალებას მოგვცემს, რაც სამომავლოდ წაგვადგება. 1-13 თებერვალს მოსამზადებელ შეკრებას მინსკში, ბელარუსის ნაკრებთან ერთად გავივლით და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. იქ ყველა პირობა იქნება იმისთვის, რომ კარგად მოვემზადოთ და სალიცენზიო ტურნირზე წარმატებით გამოვიდეთ. სათქმელია, რომ იმავე აუზზე, სადაც მოვემზადებით, იენისში ახალგაზრდებს ევროპის ჩემპიონატი ელით და შოთა კარახაშვილს ადაპტაციის პრობლემა აღარ ექნება. მის გარდა, ჭოლა ჭანტურია და გეორქ გეორქიანი მოემზადებიან და მათგან საუკეთესო ორი ჩინეთში ლიცენზიისთვის იბრძოლებს.

**— რამდენად მაღალია ჩვენი სალიცენზიო შანსები?**

— ეს ისეთი სპეციფიკური სპორტის სახეობაა, რომ წინასწარ რამის განსაზღვრა რთულია. არ გეგონოთ, რომ თავს ვიზღვევდე. უბრალოდ, ფაქტი ალენიშნე ბუნებრივია, რომ ლიცენზიაზე ვფიქრობთ და სერიოზულადაც. პეკინში საქმე შეიძლება, იმანაც გაგვიიოლოს, რომ 18 სანუკვარი ადგილიდან ორს თუ ერთი ქვეყნის წარმომადგენლი დაიკავებს, ამ ყვეყანას მხოლოდ ერთი ლიცენზია ეძლევა. ანუ შეიძლება, ვთქვათ, მე-19 ადგილზე გახვიდე და პეკინის საგზური მაინც გერგოს. დარჩენილი 4 ლიცენზია კი რეიტინგის მიხედვით ჩამორიგდება. რაც შეეხება სინქრონულ წყვილს, აქ სულ 8 საგზურია, რაც საქმეს ართულებს და ჩვენც ძალიან გაგვიჭირდება. აი, ინდივიდუალურში კი დიდი იმედი გვაქვს და, ვნახოთ...

**— მოცურავეებსა და წყალბურთელებზე რას გვეტყვით, მათი გეგმები როგორია?**

— ცურვაში ორი ლიცენზია გვაქვს, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტისთვის არ ვიბრძოლებთ. წყალბურთს კი სახელმწიფოს დონეზე უნდა მიდგომა. აუზისა და დაფინანსების გარეშე არაფერი გამოვა, თორემ უნიჭიერესი თაობა რომ გვყავს, ეს რა ახალი ამბავია...

**ლევან ბაისურაძე**



# ჩვენი ამქარი ძველ მეთაურს ვერ [illegible]

**საქართველოს** სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული უცვლელად თავკაცობს ელგუჯა ბერიშვილი. მას ამ პოსტზე შემცვლელი ამ კონკურენტი არც გუშინ სასტუმრო „თორში" გამართულ ამავე ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამოუჩნდა. იქნებ ამის სურვილი ვინმეს ჰქონდა კიდეც, მაგრამ როცა ელგუჯა ბერიშვილის მიერ გაკეთებულ საქმეს იხსენებდა, ალბათ, მსგავსი ტვირთის ზიდვის სურვილი ეკარგებოდა. ამ ტვირთში კი ვგულისხმობთ მრავალ საქმეს, რომელთა შორის უმძიმესი და უმნიშვნელოვანესია, გნებავთ პირდაპირი, გნებავთ გადატანითი მნიშვნელობით, ქართული სპორტული ენციკლოპედიის გამოცემაა, რაც ავტორთა კრებულის მრავალწლიანი შრომის შედეგად სწორედ საანგარიშო პერიოდში დაგვირგვინდა. ამ საქმეში თავიანთი ფინანსური წვლილი შეიტანეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, საქართველოს ოლიმპიური ფონდისა და ჩვენი ქვეყნის სპორტის დეპარტამენტმა, რომელთა წვლილიც გუშინ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა.



ელგუჯა ბერიშვილი

მათივე დახმარებით, პრაქტიკულად მზადაა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი, სამი ათეული წიგნისგან შემდგარი სახაჩუქრო კოლექცია, რომელიც ყველა ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონზე მოგვითხრობს. თითოეულ მათგანს თითო 80-გვერდიანი უხვად ილუსტრირებული წიგნი ეძღვნება. სხვადასხვა ავტორის ეს ნამუშევარი დღის სინათლეს, ეტყობა, გაისად გაზაფხულზე იხილავს.

საანგარიშო პერიოდში წარმატებით დაგვირგვინდა აგრეთვე სხვა პროექტებიც და სამომავლო გეგმებიც ფრიად საინტერესო ჩანს. ამიტომაც „თორში" შეკრებილმა ჩვენმა საძმომ განვლილი საანგარიშო პერიოდი დადებითად შეაფასა და ელგუჯა ბერიშვილი სპორტულ ჟურნალისტთა ამქრის სათავეში კვლავ ერთხმად აირჩია.

გუშინდელ კონფერენციაზე არა მხოლოდ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის, არამედ ჩვენი ქვეყნის სპორტის დეპარტამენტის მუშაობაც თავისებურად შეჯამდა. კონფერენციაზე დაიდო ჩვენი კოლეგების საქმიანობის ამსახველი ერთ-ერთი ნაშრომიც, რაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ყოველწლიურ მშვენიერ გამოცემაში აისახა („სპორტი და ახალგაზრდობა"). ამ საქმეს კი სათავეში ასევე ელგუჯა ბერიშვილი ედგა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ხელბურთი

# ისევ ორიანი

## ხელბურთელებს თურქეთში წაგებები დაუგროვდათ

**თურქეთში** მყოფმა საქართველოს ხელბურთელთა ეროვნულმა და ახალგაზრდულმა ნაკრებებმა გუშინწინ მორიგი ამხანაგური თამაშები გამართეს მასპინძელ თურქეთის გუნდებთან და კვლავ დამარცხდნენ. წინა დაპირისპირებისგან განსხვავებით პატარებმა ბევრად მცირე სხვაობით, 26-31 წააგეს. როგორც ჩანს, ჩვენებმა შეცდომები გაანალიზეს და მეტოქეს უკეთესად მომზადებულები წარუდგნენ. შეგახსენებთ, რომ პირველი თამაში მთელი 17 ბურთით დათმეს.

მათგან განსხვავებით, მთავარმა ნაკრებმა შედეგი გააუარესა, 16-25 დამარცხდა. ის, რომ ნაკრები წამყვანი მოთამაშეების გარეშეა, ანგარიშიდანაც ნათლად ჩანს. ლეგიონერების გარეშე მეზობლებთან გამკლავება საკმაოდ ჭირს.

გუშინ ჩვენ დელეგაციასთან დაკავშირებაც მოვახერხეთ და ხელბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ ეს გვითხრა:

— აქ ძალიან კარგად მიგვიღეს და ყველა პირობა შეგვიქმნეს, რომ ნორმალურად მოვემზადებულიყავით. თამაშებს ტელევიზია და პრესა აშუქებს, დარბაზშიც ბევრი გულშემატკივარი მოდის. რაც შეეხება ჩვენს გამოსვლას, პირველ დღეს მაინც დაღლილობამ იჩინა თავი. თან თურქებს საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავთ, აქამდე სერიოზულად ემზადებოდნენ და ყველა წამყვანი მოთამაშე დაგვიპირისპირეს. გვინდა, რომ დღეს უკეთესად გამოვიდეთ. გარდა ამისა, მიდის საქმიანი შეხვედრები ადგილობრივი ფედერაციის ხელმძღვანელობასთან და სიტყვიერ შეთანხმებას მივაღწიეთ, რომ მარტში ახალგაზრდული ნაკრები თურქ თანატოლებს უმასპინძლებს. საუბარია დიდებზეც, თუმც დრო ჯერ გადაწყვეტილი არ არის. თბილისში 23 დეკემბერს დავბრუნდებით და დეტალურ ინფორმაციასაც მერე მოგაწვდით.

**ოთარ გალლაკელიძე**

## ცურვა



# ჰა შენ, კამარუ, მილიონი და გაიხადე!

**გერმანული** ეროტიკული ჟურნალები ახლა მილიონი ევროს ძიებაში არიან. სწორედ ამ თანხას ითხოვს მსოფლიოს ჩემპიონი მოცურავე ბრიტა კამარუ-კირეშტაინი, თავისი ჩამოქნილი სხეულის დედიშობილა გამოსაჩენად. როსტოკელი ლამაზმანის გაშიშვლებას აგერ ორი წელია, ამაოდ ცდილობს კაცთა საკითხავი ჟურნალი „მაქსიმი“, მაგრამ ბრიტას დაყოლიება ვერა და ვერ მოხერხდა. სხვათა შორის, „მაქსიმის“ სახე იყო გერმანელი მოცურავე ფრანსისკა ვან ალმსიკი, ვინც ბრიტასავით როსტოკელია და გაშიშვლებას ბევრად ნაკლებ თანხად თანხმდებოდა.

შარშან „მაქსიმმა“ შეძლო და ბრიტა კამარუ-კირეშტაინი თამამ ფოტოსესიაზე დაითანხმა, მაგრამ ბრიტამ ნატიფი სხეული მხოლოდ წელსზემოთ გამოაჩინა, თანაც თავისი სავსე და ალმაცერი მკერდი ხელებით დაიფარა. „მე დიპლომიანი იურისტი ვარ და ჩემი პროფესიით ვაპირებ კარიერის მოწყობას. ვფიქრობ, ბოლომდე გაშიშვლება ხაზს გადაუსვამს ჩემს იურისტობას, მაგრამ თუ ვინმე მილიონ ევროს გადამიხდის, გავრისკავ და დედიშობილა გავკოტრიალდები“ — განუცხადა ბრიტამ „ბილდს“.

## რაგბი

# ეშტონმა მორევში მეორედ შეტოპა

**ბრაიან ეშტონი** ისევ ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელია. გუშინ იგი ოფიციალურად დანიშნეს პოსტზე განუსაზღვრელი ვადით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჭარმაგი სპეციალისტი შეიძლება 2015 წლამდე დარჩეს „ვარდების“ ბალში და შეიძლება 12 თვეში მოხსნან.

საფრანგეთის მსოფლიოს თასის მსვლელობისას ეშტონს კრიტიკა არ მოჰკლებია, მაგრამ ფინალში გასვლით მან სკეპტიკოსები ჩააჩუმა და ინგლისური რაგბის თავკაცობაც მიიმხრო. მსოფლიოს თასის დამთავრებიდან ორიოდე კვირა იყო გასული, რომ „ვარდების“ ვეტერანებმა ლოურენს დალალიომ და მაიკლ ქეთიმ თავიანთ ავტობიოგრაფიულ წიგნებში ეშტონი აუგად მოიხსენიეს, რითაც მწვრთნელის კარიერის მომავალს კითხვის ნიშანი დაუსვეს. მსოფლიოს თასის შემდეგ დღის წესრიგში „ვარდების“ ახალი მწვრთნელის გამოძებნა დადგა და კანდიდატურაც უცებ მოინახა. ეს ადამიანი, არც მეტი არც ნაკლები, სამხრეთ აფრიკის მწვრთნელი და მსოფლიოს თასის ტრიუმფატორი ჯეკ ვაიტი გახლდათ. თავის მხრივ, ვაიტმაც თანხმობა განაცხადა და ახლა უკვე უნდა მოძღვრავდეს ალბიონელებს, მაგრამ მას ბრიტანეთის რაგბის მამები ბოლო წამს შემოსწყრნენ.

რა თქმა უნდა, ინგლისის რაგბის კავშირს, ცოტა არ იყოს, რეპუტაციაშელახული ეშტონი ზარზეიმით არ მიუყვანია თანამდებობაზე. მეორედ მისულ სპეციალისტს ბევრი სამწვრთნელო პრინციპის დათმობა მოუწევს, რასაც უკვე შეგუებულია.

ესეც ვთქვათ, რომ ეშტონის ერთ-ერთ მხურვალე მხარდამჭერად ჯონი უილკინსონიც ითვლება.

**ზურაბ მიბრიაული**

## კრივი

# მათ სისხლის შოუ დადგეს

*პროფესიული კრივის სამყაროსთვის 2007 წელი მოვლენებით მეტად დატვირთული და მდიდარი გამოდგა. წლეულს ნამდვილად არ ყოფილა დიდი სახელების დაპირისპირებისა თუ ლამაზათიანი ჯახების სიმცირე. ამიტომაც წლის საუკეთესო ბრძოლის გამოვლენა დიდ სიძნელეს წარმოადგენს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. რა თქმა უნდა, ყველას თავისი კრიტერიუმი აქვს, მაგრამ კრივზე ორიენტირებულმა რამდენიმე ავტორიტეტულმა ინტერნეტპორტალმა აქცენტი არა იმ შეხვედრებზე გააკეთა, სადაც რინგზე ბობოლები გაყიდნენ, არამედ იმ ჯახების ჩამონათვალი გამოაქვეყნა, რომლებშიც მოკრივეებმა არც თავი დაინდეს და არც მეტოქე*



მიგელ კოტო ზაბ ჯუდას გვემს

## წლის საუკეთესო ბრძოლები

### 1. მარკესი და ვასკესი

3 მარტი. კარსონი

ეს იყო WBC-ს ტიტულისთვის ბრძოლა უმსუბუქეს წონაში. მოკრივეებმა ერთმანეთის ბრდღვნა თავიდანვე დაიწყეს და პირველივე რაუნდში უძლიერესი დარტყმები გაცვალეს. მარკესი ამ ბრძოლისთვის ცოტა დამძიმდა, ამიტომაც მაგრად გაუჭირდა და მძიმე მდგომარეობაშიც ჩავარდა, მაგრამ ბოლოსკენ იძალა, მარჯვენა ჰუკით მეტოქეს ცხვირი გაუტეხა და ვასკესსაც სუნთქვის პრობლემები შეექმნა, რის გამოც ბრძოლის შეყვეტა მოუხდა.

### 2. მორმეკი და ბელი

17 მარტი. ლიონი

ეს მატჩ-რევანში იყო. ერთი წლით ადრე ბელმა ფრანგი ნიუ იორკში დაამარცხა და პირველ მძიმე წონაში WBA-სა და WBC-ის ტიტულები გააერთიანა. ბელი მორმეკს მის სამშობლოშიც მოერია, თუმც თავად ბრძოლა ძალიან დაძაბული გამოდგა — მოკრივეებმა გვარიანად ურტყეს ერთმანეთს და სტუმარმა გალი მხოლოდ ქულებით დაჩაგრა.

### 3. პავლიკი და მირანდა

19 მაისი. მემფისი

იმ საღამოს მთავარი ბრძოლა საშუალო წონაში ჩემპიონ ჯერმეინ ტეილორისა და ქამრის პრეტენდენტ კორი სფინქსის ჯახი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყველას იმედი გაუცრუვდა. სამაგიეროდ, მემფისში შეკრებილი მაყურებელი პავლიკმა და მირანდამ ასიამოვნეს, რომლებმაც მშვენიერი სანახაობა დადგეს. პავლიკმა მთლიანობაში დამაჯარებლად იმარჯვა და ტიტულის პრეტენდენტიც შეიქნა.

### 4. კოტო და ჯუდა

9 ივნისი. ნიუ იორკი

კოტოსთვის ეს კარიერაში ყველაზე სერიოზული მეტოქე იყო და ბრძოლამაც „მედისონ სკვერ გარდენში“ შეკრებილ 21 000 მაყურებელს იმედები არ გაუცრუა. უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა, თუმც კოტოს უფრო ღონიერი დარტყმა აქვს და მისი მუშტების ძალა მეტოქეს ბოლოსკენ დაეტყო. თუმც ჯუდას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მანამდე იომა, სანამ ფეხებზე გაჩერება შეეძლო და ჯამაათის პატივისცემაც დაიმსახურა.

### 5. ვასკესი და მარკესი 2

9 აგვისტო. იდალგო

ეს მარტში გამართული ბრძოლის რემატჩი იყო და წინაზე უკეთესი გამოდგა. ამ ჯახში ხალხმა იხილა ყველაფერი ის, რის გამოც პროფესიული კრივი ფასობს. მეტოქეებმა არანორმალური რაოდენობის დარტყმებს გაუძლეს და ულამაზესი კომბინაციებიც გაატარეს. ამ ხორცსაკეპს ვასკესმა უკეთ გაუძლო და ტიტულიც დაიბრუნა.

### 6. პავლიკი და ტეილორი

29 სექტემბერი. ატლანტიკ-სიტი

პავლიკი მეორე რაუნდში დააგდეს და ნოკაუტამდეც ბევრი არაფერი უკლდა. თუმც მან წამოდგომაც შეძლო და საშუალო წონაში უძლიერესად მიჩნეული ტეილორის თავისთვის ხელსაყრელ, ღია ბრძოლაში ჩათრევაც. პავლიკმა საქმე მეშვიდე რაუნდში უძლიერესი მარჯვენა სვინგით მოათავა, როცა ჩემპიონი ნოკაუტში გაუშვა, თავად კი WBC-სა და WBO-ს ტიტულები დაითრია.

*ჩვენმა ამერიკელმა კოლეგებმა კი, ეს ბრძოლები გამოარჩიეს. როგორც ხედავთ, აქ ფლოიდ მეიუეზერის ვერც ერთი ჯახი ვერ მოხვდა, თუმც ვაღიაროთ, რომ მსოფლიოს უძლიერესი მოკრივის ბრძოლები ოსკარ დე ლა ჰოიასთან ან რიკი ჰატონთან ტაქტიკური ხასიათისა უფრო იყო. ფლოიდი უდავოდ დიდი მოკრივეა, მაგრამ ის შოუმენი არასოდეს ყოფილა. ზემოთ ნახსენებმა მუშტის მქნეველებმა კი ნამდვილი შოუები დადგეს*

**კახა ლომაშვილი**



ვასკეს-მარკესის სისხლიანი კრივობა წლის ერთ-ერთ საუკეთესოდ მოინათლა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ანასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მიგრიაული, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მისიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge